

65.

ქართული
ბავშვთა

გოგონა სახლი




№ 5

შინაარსი

გვერდი


1. შირველი მასი, ლექსი—ქ. აღ—ძე	1
2. 1. ლ. მასის პროლეტარული დღესასწაული და 2. მასის ბავშვთა დღესასწაული—მარიამ ორახელაშვილი	2
3. მშრომელთა დღესასწაული—ვანო შ.	3
4. ცა ზანზარებს, ლექსი—დ. ელიოზიშვილი	4
5. 1 მასი—დ. თურდრასპირელი	6
6. ღილა ტყეში, ლექსი—ს. ერ.	14
7. ძმები—დ. ანთაძე	15
8. ამა. დ. კანდელაკის სახელობის ნორბ. პიონერთა კოლექ- ტივის მოკლე ისტორია—თამრო გიგაური	18
9. ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის მუშაობა ლენინის ბაზონში—ალ. შველბაძე	18
10. სამი თობა—ლევ ვური	20
11. აღექვი მიზანშეწილი—ალ. მიქაბერიძე	23
12. ალენი—ვ. ტატიშვილი, (თარგმ. შ. ის)	25
13. ადივერტენტები—ი. ა.	28
14. მცენარეულობის მგობრები და მტრები—თარგ. ნ. ტაშველაშვილი	31
15. გლეხის სიმღერა, მუსიკა ა. თარცხლაძისა ლექსი—(შ. ო- მ. ს. ქვეცანა*—დან	31



1925
მაისი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტის ყურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი 2
№ 5



პირველი მაისი

პიონერების სიმღერა

მეგობრებო!

ამ დღეს, როცა
სიხარული ჩვენს გულს ავსებს,
როს შუც უთვლის მიწის კოცნას
და სხივების ფრქვევით აღდგას,

შემოვიძახოთ ტაშისცემით:
„გაუმარჯოს პირველ მაისს“,
რომ იმ მხარეს გადაეცეს,
სადაც კენესა კიდევ ისმის,

რომ სულ მალე, მალე, მალე,
გადმოიზრდეს ცეცხლის რაში,
და ცრემლებით სავეს თვალებს
როგორც აფრა, ისე გაშლის.

ახალგაზრდა პიონერებს
გამარჯვების მოგვაქვს დროშა.
და უკივით ჩაგრულ ერებს:
„ძლივის ცეცხლი უკვე მოჩანს“.

აღაოცება და ხალისი
დღეს ჩვენ გულებს ბორკავს,
გულში სევდა გაიღუფა,
ვით ზღვა, ისე როკავს.

ცის აბრეშუმა სიმღერებით
ვარხევთ, როგორც ქარი;

წინ, წინ გასწი, პიონერო,
სულში რწმენა ჩქარი!

ქარიშხალში დავიბადეთ,
ის გვირწმევდა ნანას.
შვეფივით ეკლის ვარდებს
და შმაგ ცეცხლის აკვანს.

ციცხლში, ცეცხლში ვიშვით,
ეს ჩვენ რწმენას ანთებს;
არწივივით ფრთებს ვშლით,
მოვევლეებით ღრეს, მთებს.

ვინ დაგვეგება ზღუდეთ,
შეგვიტერებს ქროლვას,
როს გულს რწმენა უღღვს
უზარმაზარ ლოდად?

ვართ ოქტომბრის შვილნი,
მისი ვარსკვლავები:
მზად ვართ, რომ შევცვალოთ
დაღლილი მკლავები.


ახალგაზრდა პიონერებს
გამარჯვების მოგვაქვს დროშა,
და უკივით ჩაგრულ ერებს:
„ძლივის ცეცხლი უკვე მოჩანს“.



კ. ლ-ძე.



1083.



1-ლი მაისის პროლეტარული დღესასწაული და 3 მაისის გავთა დღესასწაული

უკვე 35 წელიწადია, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყნებში დღესასწაულობენ პირველ მაისს — პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულს, შრომის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის დღესასწაულს, კაცობრიობის საგაზაფხულო განახლების დღესასწაულს. ეს საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საზეიმო და პოპულიარული დღესასწაული უკანასკნელი დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში ხდება გლეხების და გლეხ-ქალების დღესასწაულად.

პირველმა მაისმა უდიდესი როლი ითამაშა მუშათა კლასის საერთაშორისო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, პირველი მაისი უდიდეს როლს თამაშობს და უნდა ითამაშოს მუშათა მოძრაობის ერთიანი საერთაშორისო ფრონტის შექმნის საქმეში, დაჩაგრული აღმოსავლეთის რევოლუციონური ძალების დარაზმების საქმეში და კერძოდ მუშების და გლეხების ერთიანი დაურღვეველი კავშირის შექმნის საქმეში, — იმ მუშების და გლეხების, რომლებიც ახალ ცხოვრებას და ახალ საზოგადოებას ქმნიან კომუნისტურ საფუძვლებზე.

პირველი მაისი უდიდეს როლს ითამაშებს აგრეთვე ჩვენი ბავშვების და მოზარდების კომუნისტურ

მისათვის მებრძოლ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის იდეებისა და ინტერესების გარშემო დარაზმების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის ბავშვებმა და მოზარდებმაც დააწესეს თავისი დღესასწაულის ერთი გარკვეული დღე, პირველი მაისის შემდეგ — 3 მაისი. ამ დღეს პიონერ-ლენინელების ბარბანის მოწოდების თანახმად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების და სოფლების ყველა ეროვნებათა მოზარდები და ბავშვები შემკიდრობებული რიგებით გამოვიდნენ ქუჩებში და ხმამაღლა, ყველას გასაგონად, განაცხადებენ, რომ ისინი საერთაშორისო მუშათა კლასთან არიან, რომ ისინი მზად არიან ემსახურონ მის ინტერესებს, რომ ისინი იზრდებიან და ირავებიან იმისათვის, რომ დაეხმარონ და შესცვალონ სახელოვანი მებრძოლი კომკავშირი.


• ამ დღეს კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მტკიცედ და გაბედულად შეხედავს თვალეში მომავალს; დაიანახვს რა ჯანსაღი, მტკიცე მესამე შემცველ ძალას — პიონერს, რომელსაც შეეკავშირება მისთვის მიჰყავს საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ბავშვა მოსახლეობა; საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო მტკიცედ განაგრძობს კომუნისტური

საძირკველის ჩაყრას, დაინახავს რა, რომ მოდის ახალი, ცოდნით და კომუნისტური საზოგადოების აღმშენებლობას სურვილით და ნებისყოფით აღჭურვილი არმია. მუშები, მუშა-ქალები და კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები მგტი ყურადღებით და სიყვარულით უნდა მოეპყრან ბავშოთა დღესასწაულს—3 მაისს.

უნდა ვაპოვიდეთ მათთან ტრიბუნაზე, უნდა ინახულოთ ისინი და მოუსმინოთ მათ. უნდა დავესწროთ მათ დღესასწაულს ვაკეზე, უნდა მიესალმოთ მათ, გაამხნევოთ ისინი და შთაბეროთ მათ ახალი და ახალი ძალები.

მარიამ ორახელაშვილი.

მ მ რ თ ა მ ე ლ თ ა ჯ ჯ ე ს ა ს წ ა უ ლ ი



ტარლ მარქსი

1 ინტერნაციონალის დამაარსებელი.

წითელი მაისის დღესასწაული!..

წარმოშობისთანავე მან ძრწოლა გამოიწვია მეფეებსა, მემამულეებსა და მდიდრებს შორის. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შეიძულა პირველი მაისი — დღე წითელი დროშის, სიმღერის და ბძობლის.

წითელი მაისის წარმოშობა

1886 წელს ჩრდილო ამერიკის შეგნებული პროლეტარები კაპიტალისტების წინააღმდეგ სასტიკ შეტევაზე გადავიდნენ.

მათ ვადასწევტეს მოვბოე-ბით 8 საათის სამუშაო დღე.

ბრძოლის მთავარ საშუალებად საერთო გაფიცვა აირჩიეს. მდიდრების დამარცხება შეიძლება მხოლოდ შრომის აჯანყებით, ამზობდნენ ამერიკელი მუშები. გაფიცვის გამოცხადებით მათ კაპიტალისტურ შონობის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა.

გაფიცვა პირველ მაისს დაიწყო. მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა ჩიკაგო—ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ქალაქი. გაფიცულთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატებოდა.

ბურჟუაზია გამძვინვარდა, მან ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ ჩაეკლა და გაენადგურებია პროლეტარიატის მოძრაობა.

3 მაისს დაქირაებულმა პოლიციელებმა გაფიცულთა მშვიდობიან დემონსტრანტებს ტყვიები დაუშინეს. კაპიტალისტთა ბრძანებით პოლიციელებმა დახოცეს და დასკრეს რამოდენიმე ათეული მუშა და მუშა ქალი.

5 მაისს პოლიციამ ისევ გაიმეორა თავისი საქმე. მან ხანგრძლივი სროლა აუტეხა მრავალრიცხოვან მიტინგს, რომელიც 3 მაისს მომხდარ სისხლისღვრის პროტესტის ნიშნად იყო მოწვეული, ამას გარდა, მუშების რამოდენიმე ბოლადი დაატუსაღეს და მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

მოძრაობა ჩააქრეს. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა მუშათა კლასზე.

ორი წლის შემდეგ, 1888 წელს, ამერიკის მოწინავე პროლეტარიატმა დაადგინა ედღესასწაულათ პირველი მისი, ჩიკაგოს მუშების გმირული ბრძოლის დაწყების დღე. ერთი წლის შემდეგ პირველი მისი მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაულად გადაიქცა.

ჩატომ დაწესდა დღესასწაული.

საერთაშორისო მისის დღესასწაულის დაწესება მუშათა საერთაშორისო აშხანაკობის, მეორე ინტერნაციონალის დაარსებამთან არის დაკავშირებული.

1889 წელს, 14 ივლისს საფრანგეთის სატახტო ქალაქში, პარიზში, თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნის მუშათა პარტიებმა, რომლებმაც დააარსეს მეორე ინტერნაციონალი, მუშათა მებრძოლი კავ-



შრ. ენგელსი

შირი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამასთანავე მათ დადგინეს დაწესება შრომის ერთი საერთაშორისო დღესასწაულის. ამ საკითხის შესახებ მიღებული იქნა დადგენილება, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი იყო ნათქვამი:

„ერთეულ და საუღდამოდ დაწესებულია საერთაშორისო მშრომელთა დიდი მანიფესტაცია. ყველა ქვეყანაში და ყოველ ქალაქში ერთსადაც იმავ დღეს მშრომელებმა უნდა წარუდგინონ ხელისუფლებას მოთხოვნანი კანონით სამუშაო დღის რვა საათით განსაზღვრისა და აგრეთვე პარიზში შემდგარ საერთაშორისო კრების (კონგრესის) ყველა სხვა დადგენილებათა სისრულეში მოყვანის შესახებ“.

საერთაშორისო მანიფესტაციისათვის, ამერიკის მუშების მავალითის მიხედვით, კონგრესმა პირველი მისი მიიღო.


შემდეგი წლიდან უკვე თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნებში დღესასწაულობენ პირველ მისს. ხშირია ამ დღეს შიტაკება პოლიციასა და მუშებს შორის, იღვრება მშრომელთა სისხლი, ატუსაღებენ პროლეტარიატის ხელმძღვანელებს. მაგრამ ყოველივე ეს არა თუ ასუსტებს მუშათა მოძრაობას, მუშათა ბრძოლის, არამედ, პირიქით, აფართოებს, აძლიერებს და აღრმავეს მას.

რუსეთში და საქართველოშიც დღესასწაულობენ პირველ მისს, მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა ყოველგვარი საშუალებით ახშობ-


და მუშებში განთავისუფლებისაკენ მისწრაფების ნატამალსაც კა...

პირველი წითელი მისობა იდღესასწაულეს ვარშავის მუშებმა 1890 წელს. მას მიჰყვა ლინინგრადი, მოსკოვი, ბაქო, ტფილისი და მუშათა სხვა ქალაქები.

მსოფლიო ომის დროს (1914—18 წ.) მუშათა კლასის გამყიდველმა სოციალისტურმა პარტიებმა (მეორე ინტერნაციონალი) პირველი მისი საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის დღიდან ბურჟუაზიის დასაცავ დღედ გადაქცია. მუშათა კლასის მიზნები და ამოცანები, რომლის გან-



ხორციელებსაც ის ცდილობდა პირველი მისის საშუალებით, დაიწყებული იქნა და მის მაგივრად წამოყენებულ იქნა კაპიტალისტების პატრონობის დაცვა...



მაგრამ მუშათა კლასის საბრძოლველ ასპარეზზე დგება მესამე, კომუნისტური, ინტერნაციონალი, საერთაშორისო მუშათა კლასის ქეშპირიტი დაძვეული, მისი ბრძოლის შეუღარბელი ხელმძღვანელი, და ის პირველ მაისს აძლევს თავის წმინდა მუშურ შინაარსს. მთელი ქვეყნის დაჩაგრულენი პირველი მაისით კვლავ იწყებენ ბრძოლას თავის კლასიურ

ინტერესებისათვის. ამას ხელმძღვანელად აღიქვამს ბული ლენინი.

გაუმაჯოს წითელ პირველ მაისს,—შრომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

გაუმაჯოს საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელს,—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

განო შ.



ც ა ზ ა ნ ზ ა რ ე ბ ს

(რევოლუცია ბუნებაში)

ცა ზანზარებს,
მიწა იძვრის;

ელვა ცეცხლის
ენებს ისვრის.

კლდე ირღვევა,
დასკდენ მთანი;

აღრიალდენ
მძაფრი ზღვანი.

ქარიშხალი
ჰყეფს, ღრილიებს,

ქეებს ჰაერში
ატრიალებს.

ისმის გემთა
მსხვრევის ხმები;

ზღვის ნაპირზე
ჰყურია მკვდრები!..


აბობოქრდა
მთლიად ბუნება,
აღსდგა, იბრძვის
მისი ნუბა.


მსურს ქვეყანა
ძველი მუსროს,
და ახალი
დამკვედროს!..

ცა ზანზარებს,
მიწა იძვრის;

ელვა ცეცხლის
ენებს ისვრის.

დ. ელიოზიშვილი.





ახლოვდება პირველი მაისი და ჩემი გული უჩვეულო თრთოლას იწყებს... მოგონებები გაემჟღავნება ჩიტუნების სახით მებევებიან და მველურტულუბიან გავილი დღეთა სიამეზე...

ვიცი, წელსაც ზეიპით გადაიხდიან ამ დღესასწაულს.

ქუჩები აყვავილდება... მთელი ქალაქი სიმზარულის ბაღად გადაიქცევა...

პარეზი შერცხლებად იკაქიკებენ თილისმიანი სიტყვები:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ თვალი დიქანცება ამ ნინანტრი ზეიპის ყურებით.

არაბეთის ფერადი ზღაპრები ვერ შეედრებიან ამ დღესასწაულს.

დღეს პროლეტარიატი გამარჯვებულია.

პირველი მაისობა დღესასწაულია და გადაქცეულია.

არაინა სდევნის მას...

საკმარისია მოიწადინო პირველი მაისობის ნახვა, და შენ ავისრულდება სურვილი.

დღეს რომ წითელი დროშების ტყეები მოარბევნ ჰაერს, ასე არა ყოფილა ძველად.

მაშინ პირველ მაისობაში მონაწილეობის მიღება პირდაპირ შეუძლია ითვლებოდა...

მხოლოდ პროლეტარიატი თუ გამოიღებდა თავს, თორემ სხვები მშობარა კურდღლებივით შინ იმალებოდნენ...

კარებს დარაბებით ჰკეტავდნენ, რომ მათამდის არ მიეღწია რევოლუციონურ მოძრაობის მომჯადოებელ ძახილს.

უგუნურნი!

განა შეიძლება გაეძევი ელვის?

განა შეიძლება დაემხო ქვეაქუხილს?

ან განა შეაჩერებ სასეტყვოდ მოშავებულ ღრუბლებს იმით, რომ მხდალურად სორაში შექვრები?

თუნდა ცხტაკიტულში გამოემწყვდენ, მისი გრვეინვა მინც მოგნახავს და ელვის მახვილებით დაგარწმუნებს, რომ უშენოდაც მინც ირყევა, ინგრევა ძველი, შეშლილი ქვეყანა.

* *

ასე გაურბოდნენ ყოველგვარ გაელვებას და დემონსტრაციას მყუდრო ცხოვრების მოტრფილნი.

პირველი მაისის მოახლოებაც ფილენჯინით აჯანკალებდათ...

ეშინოდათ ამ დღესასწაულს...

მაგრამ ჩვენ, ახალგაზრდები და მუშები, შეყვარებულნი ვიყავით...

იგი გვიყვარდა, როგორც ბავშვობის დროის შიდადრი, ქრელი სიზმრები, როგორც დედის დამყვავებელი ალერსი...

მართლაც, განა შეიძლება ახალგაზრდა იყო და არ გეყვარდეს პირველი მაისობა?..

ჩვენ არ ვიცოდით შიში... ეკვი... ყოყმანი...

ჩვენ განხორციელდება ვიყავით: ნებისყოფისა.. ანთებული სურვილების...

ბრძოლის გრიგალისა..

ისე მძლე იყო ჩვენში მტრის სიძულვილი, რომ რაც გინდა ხელი შეეშალათ ჩვენთვის, ჩვენ გველის პერანგშიაც კი გაეძვრებოდით და მინც მივიღებდით მონაწილეობას მტრის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციაში.

თვითმუშა ჩვენთაგან ნი ცოცხლობდა გალილესი, იოანე ჰუსის, კარაკოზოვის, პეროვსკიას, კეცხოველის დამონაწი და შეუბოროტავი სული...

ჩვენ ყველას ფიცი გვქონდა დადებული, რომ ძველ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ისეთ-

სავე ზაფთიანობას გამოვიჩინდით, როგორც იჩენდენ ეს მსოფლიოს მოქალაქენი.

მაოლოდ გალილიისთვის ვერ გვეპატივებია ის, რომ იგი შეაკრათო შანთებმა, კოცონმა და უარი სთქვა თავის ქმშარიტებაზე...

მალე ერთი დრამატურგის პიესამ მოაცალა გალილიის ეს ლაქა და ჩვენ შევიყვარეთ გალილიე...

შევიყვარეთ ისე, როგორც შეუძლია შეყვარება მაოლოდ ახალგაზრდობას...

ჩვენ ცისმარე დღე ვიმორებდით: გალილიე, შენ გაწამეს, გტანჯეს და გათქმევინეს, რომ დღედაძიწა არა ბრუნავსო, მაგრამ რა წამსაც სული მოითქვი, შემნა სიტყვებმა ვახიხაურეს: მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავსო... ჩვენც ეს სიტყვები: მაინც ბრუნავსო, წუთს არ გვაძლევენ მოსვენებასა. .

.....

გვიცავთ, არც ჩვენ შეგვკრთებთ... ჩვენც მტერს პირში მივახლით ამ უკვდავ სიტყვებს:

მაინც ბრუნავს!.. მაინც ბრუნავს!..

სდევნეთ, აკრძალეთ მუშათა დემონსტრაციები...

რევოლიუციონური იდეა მაინც იპრიალებს, მაინც ივარდერებს...

ასეთები ვიყავით ჩვენ, და ასეთია მთელი ახალგაზრდობა...

მეტადრე მაშინ, თუ იგი დაბადებულა მუშათა უბანში...

თუ მისთვის ნანა უთქვამს ბორბლების ტრილის და საყვირების გუგუნს...

* * ჩემს თაობას ბევრი, ბევრი ბილიკები აქვს გავლილი წარსულის დაბრკოლებათა ულრანს შავს ტყეში...

ბევრ რევოლიუციონურ ქარცეცხლში შეგეტრუსვია ოცნების ფრთები, მაგრამ დიად იდეალების დროებში მაინც ავგიფრიალებია მიხწევათა მწვერვალებზე...

ტკბილია ეს მოგონება... მაგრამ მათში მაინც გამოიჩინება ერთი მომხიბლავი, ლამაზი თარიღი...

როგორც მზე ვარსკვლავთა შორის განსაკუთრების ელვარებით დადღადებს, ისე ეს თარიღი ობოლ მარგალიტად ბრწყინავს სხვა თარიღთა შორის...

ესაა ის პირველი მისიობა, რომელიც ჩვენ, ახალგაზრდებმა, გადავიხადეთ 1906 წელს...

ის იყო პირველი ჩვენი გაბედული გამოსვლა... წინეთ ჩვენ მხოლოდ მაყურებლები ვიყავით...

ამ წელს კი მოქმედნი... თაოსნები... ამ დროს ვედირსეთ რევოლიუციონურ ნათლისღებას...

* * * ეს ის დრო იყო, როდესაც მძინვარე რეაქტია ზემოთ იწყებდა ქვეყნის აობრებისა და ამტუტების შავს მატრიანს...

ქვეყანა მოაფენილი იყო გაგმირულ გმირთა საფლავებით...

ციმბირისკენ განუწყვეტლივ მიემართებოდენ გადასახლებულთა ქარავნები...

მთელი რუსეთი წარმოადგენდა იმ დამსხვრეულ ხომალდს, რომელშიაც უწყველ ჰყრიან და ჰგმინავენ დაქრილ-დასახიჩრებულნი...

ეს გაუგიათ ყვეაყორნებს და შემზარავი ყრაშყრაშით დაჰტრენენ თავს...

ჰგაძნობენ ისინი, რომ აღამიანები ვერ გაუძლებენ საშინელს ყოფას და მათს ალაფად გადაიქცევიან...

აბა ამ დროს ვილა ვაპბედევა პირველ მისობის გაღახდას...

იგი კი მოახლოვებული იყო... ორი სამი დღე-ღა აკლდა...

ახალგაზრდობას ტყუილად კი არ ეძახიან დამთხვეულს ..

რაც შეუძლებელია დიდებისთვის, იგი ადვილად ასასრულებელია ახალგაზრდობისთვის...

მათთვის არ არსებობს შეუქლებელი. არ არის დაბრკოლება, რომ არ გადაძლახონ...

მათი ერთადერთი გადაწყვეტილებაა: მსუსრს, მწადიან, მაშასადამე, მივაღწევენ, განვახორციელებ კიდეც...

ჩვენც ეს აზრები გვ-ბრწყინავდენ თვალბეში... ამ გოძნობებში გვიღელავდა გული...

როგორც ანდამატი მარად ჩრდილოეთისკენ მიიწევს, ისე ჩვენი ფიქრები მიიმართებიან პირველი მისისკენ...


როგორ შეიძლება მისის დაქვრივება? მისი სიხარულის, თამამი სურვილების, ფერადი ნატურის სიმბოლოა...

განა ავტრ ადვილად დასათმობია იგი?... მაშ რაღა ახალგაზრდები ვყოფილვართ?

ნუთუ პროლეტარიატმა იმისთვის შეღება წმინდა სისხლით სოციალიზმის ემბლემა, რომ იმას პირველ მისობას ვერ ვადირსოთ აფრიალებმა?..

რად უნდა გვექნდეს წითელი დროშა დამალული?..

რა უნდა მას ზანდუკებში?.. მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დროშებია საიარქივოდ დასაკეცი...



ისინი ჩამოეშვას...
წითელი ალამი კი გაიშლოს...
აიწიოს მაღლა... ძალიან მაღლა...
შის სხივებზე აოკროვდეს მისი დიადი წარწერა:

„გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა სოლიდარობას“...

„ვაშა კაცობრიობის ბედნიერების ვაზაფხულს“...

* *

მოწაფეებმა გადაეწყვიტეთ მოგვეწყო საკუთარი ძაღლებით პირველი მისობის დემონსტრაცია...

ტკბილა, ტკბილა ახალგაზრდობავ!.. კაცობრიობა დახვდებოდნენ, შენ რომ არ აღვიძებდე მას მკაბე, ომბიანი ყოინთ...
შენ ჰინი ხარ, მუსიკა ხარ ბრძოლისა და თავისუფლების...

* *

სახელდახლოდ შევადგინეთ დემონსტრაციის მომწყობი და ხელმძღვანელი ბიურო...

ყველა სასწაულებელს ჩამოეუარეთ, რომ რაც შეიძლება მეტი მოწაფეობა ჩაგეთრია დღესასწაულში...

საქმე მეტად საიღუმლოდ დავიჭირეთ, რომ მტერს არ შეეშალა ხელი.

რამდენიმე მგზნებარე თათბირის შემდეგ გადაწყვიტეთ პირველი მისობა გადაგვებადა მთაწმინდის მაღლა, გაეკებულ ქოჩორზე... იქ, სადაც დღეს „ფუნქიულიორის“ ელსადგურია.

ეს ადგილი განგებ ამოვიჩაიეთ...

დარწმუნებული ვიყავი, მთავრობის დაგეშილი მექმბრები მალე ვერ მოგაგანებდნენ...

მოგასწრებდით უმთავრეს საქმეს...

გულს მოვიოხებდით სიტყვების წამოკეცხლებით და რევოლიუციონურ ჰინის ჩაკაცანებით...

მემრე თუნდა მოგსწროთ, აღარას დაეცებდით.

* *

თადარიგი დავიჭირეთ...

დროშის ამფრიალებლად ამოვიჩაიეთ ყველაზე მამაცი, თავზე ხელაღებული მოწაფე...

მას მცველებად მიუფიქნეთ შვიდი ალმასი ქაბუკი...

მტერი ხომ პირველ ყოვლისა შეეცაება დროშა ხელთ იგდოს...

დაფხრიწოს...
გისათლოს...
შეაგინოს...

მათ მტკიცე საფიცარი ჩამოვარდით, რომ

მტერს შეაკვდიბოდნენ, დროშას კი არ დანებებდნენ...

საჯაროდ სიტყვის მოქმედებიც ღირსეულნი გამოვნახეთ...

* *

გათენდა ხუთშაბათიც...

ამ დღესა დანიშნული ჩვენი რევოლიუციონური ზეიმი...

ამ დღეს ჩაებარებთ ცხოვრებას გამოკლებს... ომი... დიდი გამოძვლილი ეს დღე...

რა სასაცილოდ მოჩანან დახვდებულ სკოლის კედლებში წარმოებული გამოკლები...

რა არის მასწავლებლის ზეჟარა, ორიანებით დაშინება, იმსთან შედარებით, რომელსაც გეჟადის დღენდელი დემონსტრაცია...

დღეს თვითიული ჩვენთაგანის მომავალი გადასწყდება:

სუსტი თავს მოიავადამოფებს...
არ წამოვა...

ხოლო თუ გინც გასტება ნაქი და აჰყვა ფეხის მხას, — კაზაკებს პირველ დანახვის უმაღლესდნენ... თავი მოეჭრება...

სამაგიროდ ვამიბარჯებებს ის, ვცსაც გული რკინისა აქვს...

* *

ბუნებამაც გულმხარა დღე გავითენა...

შე ისე საამოდ კაშკაშებს, თითქოს თავის დღემი ამდენი სინათლე, სითბო, სიკაცსეც არ გამოჩინავს, როგორც დღეს...

ჩიორებიც სულ სხვანაირად ჟღურტულებენ... დედამემიც მეტისმეტად დამყავებელია...

მართალია, ის წინდაც უშურველად მფრქვეველი იყო სიყვარულისა, მაგრამ დღეს უფრო დარბილებულია... მთლად გრძნობადაა გადაქვეული...

მან არა იცის რა ჩვენი გადაწყვეტილების... არც ვფუნებო.

მეტად შესწუხდებმა...

იცის, რომ არ დავიშლი...

ამიტომ თვითონაც წამოვა დემონსტრაციაზე... აღრევაც ასე მოიქცა...

კინაღად კაზაკებმა აჰკუწეს, რომ წამოუქროლეს დემონსტრანტებს და დედა გადაგვეფარა დასაცავად...

— თუ ჩემს შვილებს უბედურება უწერიათ, პირველად მე დავიღუპო, — მარად ამას ფართქალებდა მისი სათუთი გული.

არა იცის რა დედამ და ასე გულაჩუყებული კი არის...

შეფიქრიანება შემატყო და მისმა გულმა შემომკვნესა:

— ვაჟე, შვილია, ხომ არა გტკივა რაო...



მე ძალას ვატან ჩემს თავს და ვიცინი...
 ვიცინი, თუშკა ჯაგრით მენისლება სახე...
 — რა უნდა მტკიოდის, დედიკო?... განა შეიძლება ასეთს მოკაშვამე, მზიურ დღეს კაცს რაიმე ასტიკედეს?..

თვალბში კი ცრემლები მიბრწყინავენ...
 რა მატრებს? ვეგება მეშინია?...
 ძმობამ, ძმობამ, არა ვარ ლაზარი...
 არ მაფუქრებს დაჭრა, დაქვრა... მაკრამ...
 დედას რა ეშველება უჩემოდ?...
 ხომ გაუმწარდა ისედაც ტანჯული სიცოცხლე...
 არ წავიდე?...
 უჰ, რა ტყუში მოსასვლელია ეს?...
 წავალ, უეჭველად წავალ...
 მენანება დედა, მაკრამ სხვანაირად არ შემიძლია.

მისი ბრალია, რომ მე რევოლუციონერი გამოველი.

იგი მარად ყურში ძაღვებით მაწვეთებდა...
 რულს თავისუფლებისადმი...

სრულიად გასაკვირვებელი არის, რომ ამიძვირონ.

ამიტომ ვიცვამ იმ ხალათს, რომელიც დედამ ამ გაზაფხულს შემეკვრა... ღიღის გულმოდგინებით შემეიკვრა იმ თითებით, რომელიც ტყავგადაძვირალი იყო სარტყში რევისკან...

ვინცოხა მიკუხალა ბედმა და დამიჭირეს, — ღამე მარტო რომ დაეჩრბი ბნელს საკანში, — დეიკოს ნაცვლად ეს ხალაი მომეაღერსება... ჩამეხვევა...

მეც ამ ხალათს დავკოცნი და ეს იქნება დედის დადლილი თვალების დაკოცნის მაგერი.

ვემშვიდობები დედას, მხურვალედ ვკოცნი და მივბივიარ...
 მივბივიარ კი არა — მიფრინავ...
 დავ დეკი მთაშინდის ერთს ბილიკს...
 მთის ქედებზე ჯგუფ-ჯგუფად მოჩანან შიშვალეი ყმაწვილები...

ზოგს მტრის გასაგულისებლად წითელი ბლუზები ჩაუტყავს...
 ზოგს ჩემსავით წითელი მიხაკი უყიდნია და ის გაუბნევა გულზე...

რაც მადლო ავდივართ, უფრო გვემატებიან...
 ჯგუფები თანდათან იზრდებიან...
 ისე აყვლით მთაზე, რომ არც კი გვიგრძენია დაღლა...

გადვიხედეთ ძირს...
 რამდენი ახალგაზრდა მოდის...
 ყველას სახე ანთებულია და წითლად ღუღის...
 ასე გვეგონია, მდელი დაძრული და ის მოემართება დაღანით... ფხრთხალით... კასკასით... ფრენით...

აგერ ტრიალი მიხდორი, ,,განდევლილად“ წოდებულნი...
 კვირაობით აქ ცხოვრებისგან გააღებულები ლოთაფოთობენ... არღნის ტყუტუნისგან გაყრუებული იქვან მთის მწვერვალის იღუმალგება...


დღეს კი უკეთეს სტუმრებს ჰღირსებია ეს მთა...
 მას სწვევია ახალგაზრდობა...


ესენიც მთვრალეები არიან, მაგრამ არა ღვიწხით, არამედ თავისუფლების სიყვარულით... პირველი მისის ტრფიალით... ქვეყნის ბედნიერებაზე ოცნებით... მტრისადმი შურისძიებით...
 მთელი მხდორი ისე დედაგებს შეკრებილ ყმაწვილებისგან, თითქოს ლოყაწითელი ყაჩაღები გადაქცეულან ახალგაზრდებად და ისინი ცქრიალენ...

ზოგიერთებს შევატყუთ განიგანს იწვედენ...
 ინაპირებდენ...
 აშკარად ეტყობოდათ, შიშობდენ...
 თავისი თავის რწმენა არა ჰქონდათ...
 ფურ-ფური არ ეღოთ...
 გასაქცევ ბილიკებს ათვლიდებდენ, ვინცოტობა წამოგვივიონ კახაკები...

ერთმა ჯგუფმა მიიპყრო ჩემი ყურადღება...
 მათში მჭრელ დანასავით გაიყვეს უცნაურმა თვალბმა...
 ვერცხლისავით ხტიან, ცბიერად თამაშობენ ის თვალბები...
 ეს ვიოაც საეჭვო პირია...
 ყასიდად მოწაფურად აცვია...
 წინგინიცი კი უჭირავს...
 მოწაფისას მიჩნე არა მიუგავს რა...
 იგი სხებმაც შეამჩნიეს...

— თონდა დაგენამოლევებით, ყმაწვილებო, რომ ეს ვაგებტონი გამეცქია... სატევა ერთმა აშხანათაგანმა...
 — ვიცი მთავარი ჯილაგია... მავათ მოხარულბესაც კი ვიცნობ...
 — შემოპარულბები არიან... დაიხსომებენ მეთაურებს და ყველას დაეპირინებენ...





— ამხანაგებო, ყოვანი შემოგვაპრია ფარშა-
ვანის ფრთებიო!...—წამოიძახა ვილცამ და მრის-
ხანედ გადახედა გამცემს...

ამის თქმა და მისი მოაეთქვა ერთი იყო...
ძალით გვაგვდებინეთ ის თვალგამომტყურალი,
თორემ ხელში შემოაკვდებოდათ.

სირცხვილით აუესეთ ქუდი და სტენით გავი-
სტუმრეთო..

* *

აი დაჰკრა ნანატრმა ქამრაც...
აფურთაღეთ წითელი დროში... ტაში... ფარ-
თქალი... გავანი .. ნეტარების ტრუ ანტელი...

ამყად დავაგუგუნეთ:
„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“...
პატარა შეგობრებო, დღეს ყური მიეჭია ამ
სიმღერას...

სულ სხვა იყო ძველად...
ბედნიერების „სულჯე ფრინველსავით“ იშვი-
თად, მხოლოდ იშვითად მოგვიფრინდებოდა ეს
სიმღერა და გვიამბობდა იმ ბედნიერებაზე, რომე-
ლიც არა დღეს ჰღირსებოდა კაცობრიობას...

კუნაპეტ ღამეში გზადაკარგულ მგზავრს რომ
გამოუკაშკაშდეს მზე, — იმასა ჰგავდა იმ ომახინი
სიმღერის მოსმენა...

მტარვალობის წყვილადს . ნისკარტი გაჰკრა
თავისუფლების ფსკუნჯმა—ჩვენმა სიმღერამ...
ისეთა გრძნეული იყო ამ ჰანდა მიმორხვევა,
რომ ჯამანსაც კი გაალომგულებდა... გააარწივებ-
და...

„მეფის ტახტის ვაჟთ მოსისხლე მტრები“...
წაოიქტება ეს ათასი ყრმის ბაგემ და უფრო
აიგზნო... აინთო... ანაღერდლდა გულსები...
მე ხმა არ მივარგა... მუსიკალური სმენა არა
მაქვს, მაგრამ მაინც ვიწყებ სიმღერა...

გატაცებით, შთაგონებით ემღეროდი და მგებ
მაკვირვებდა ჩემი სითამამე... მგებ მომწონდა ჩემი
ხმატკილობა...

ეს იყო ჩემი პირველი სიმღერა და პირველი
წამოფარქვევა დაუტყენელი გრძნობებისა...
არასოდეს დაშავიწყდება ეს წუთები...

რა კარგი, რა ლამაზი იყო მაშინ თვითველი
ახალგაზრდა...

განა არის იმაზე მომზიბლავი, როგორც ასეთი
თევზამოდებული დამღერება რევოლიუციონურ
სიმღერისა მაშინ, როდესაც დამარცხებულთა გვა-
მებზე გაისმის მტრის ვეფლური სისინიო...

ამ დროს რეაქტია მძვინვარება შემოდგომის
კოუანი გრავალავით, მაგრამ ჩვენ, ქყნტლი ახალ-

გაზრდები, მაინც მხნედ ვიყავით, არა ვგრძნობდით
თავს დამარცხებულად...

ჩვენი ცეცხლის მკვესელი სიკვდილის ბრძოლაში
იწვედნენ მთელს ქვეყანას...

ჩვენა გვწამდა, რომ ჩვენი გულისთქმა და
მარსელიოზა იმ ვულკანად გადაიქცეოდა, რომე-
ლიც წალკავად ძველს, ომბოკიდებულს ქვეყანას...

* *

როგორც განთადის სხივები ღამის მიკო-
ტებს აწიოკებენ, ისე ჩვენ ყოვნით შევეტყით და
შევაშფოთეთ თვითმპყრობელობის წყვილადის ყვე-
ყორნები...

ფარსავად ვერც კი მოვასწარიტ რევოლიუ-
ციონურ სიტყვების წამოფრქვევა, ინტერნაციონა-
ლის დათავება, რომ ჩვენდამი სიმუღელით შეზარ-
ხოშებულნი კახაკები და პოლიციელები ანახლეთუ-
ლად დავგესხნენ თავს...

მათრახების ტაკუნმა და ცხენების ნაღების
ტყრიალმა დაათავა ჩვენი სიმღერა...

* *

მოულოდნელად მოხდა საშინელი რამ.
ყველამ დაჰკარგა სალი მოსაზრება...

თითქმის ყველა მოიკვა არაჩვეულებრივმა
შეშმა...

ტყავის გაღარჩენის სურვილმა...
ყველას უნდოდა გაქცეულიყო...
დაჰმლოდა მათრახებს...

აქცდინა დაქტერა... ციხე...
საბედნიეროდ ასეთი ელეთ-მელეთობა გავრ-
ძელდა მხოლოდ ერთ წუთს...

ამ დროს გაისმა ვერცხლის ზარივით წკრიალა
ხმა.

იგი ეკუთვნოდა მგებედე კლასის მოწაფე
ქალს შხიას...

მას ჩვენ ყველავც მებრძოლ ახალგაზრდად
ეთვლიდით და ნიშნად აღტაცებისა „პეროვსკიას“
ვეძახდით გამოცვლილ სახელად...

— ამხანაგებო, შეგობრებო... — მოვემართა
მან...

რა გეპარებათ?.. შესღქით. ვისი გეშინიათ?..
ჩვენ ვეტრფით თვისუფლებას...
ესენი მონობას...

ამათ როგორ უნდა ვაქციოთ ზურგი...

ქიჩვი ინტონის მამაცი,
მისი სიმტკიცე გულისა!..
დააბოლოვა მან და კვლავ შემოსძახა მარსე-
ლიოზა ..

შევარდნთა ნავარდისავით დავივარა მამაკო-
ბის გრძნობა.

წითელი დროშაც ერთხელ კიდევ აფრიალდა და მყისვე ჩამოეშვა, რომ ვადაშალვა მოესწროთ და მტრისთვის არ ჩაგდოთ ხელში...

— ვაშა, ვაშა!.. გაუმარჯოს პირველი მისის!.. ძირს ჯალათები!.. — წამოვიძახე მე და თვითვე გამაკვივრა ჩემმა ომახიანმა, მჭახე სიტყვებმა...

ნუთუ იგი ჩემი ხმით ითქვა!.. შეიძლება არც კი დამეგერა, რომ იგი ჩემი ხმა იყო, მაგრამ მშვევედრე შეშალა კახაკის მართახი...

დავევრიყენენ...
დავევრყყეს ქაბა-ყუბი ..
არ ვეშუბოდიო... არა გესურდა დანებება...
გამართა ხელჩართული ბრძოლა...
წინააღმდეგობის გაწევაში პირველად გაუბედაობა გვეტყობოდა...

გვიკვირდა ერთმანეთის სიმახაცე ..
მეტადრე ქალებს თავებამოდება ..
გაფთრებულ ვეფხვებს დაემსაგესნენ...
საკინძვზე სწვდებოდენ პოლიციელებს და აფხრეწოდენ...

ეს ერთმანეთის სიმახაცე უფრო გვათამამებდა...
ურთიერთს გადავდეთ ბრძოლის ცეცხლი...
ისინი ც კი ვარდამიქმნენ და ჩაეროინენ ბრძოლაში, რომელიც კრების დასაწყისისას გასაქცევ ბილიკებს ითვალთვალდებდნენ...
კანი აგვეწვა მათრახების სიმწვავისგან...
მაგრა მიგვჩქქვეს...

* *

დავმარცხდით უთანასწორო ბრძოლაში...
გავვთოაკეს...
— ოპო, პროლეტარიატის შეგობარო, ჩაგვივარდი ხელში თუ არა?..
ვიშველოს ახლა ძლიერამოსილმა პროლეტარიატმა... — მეუბნება ვიღაც ბოქაული და ხითხითებს... ხითხითებს...

ვოყურებ მე ამ აზრ-ფუყა ტუტრუცანას და ჩემს გულში ვამბობ:
— რევენო, რადა ჰკონია შენს გამოლაყებულ ტინს, რომ ურყევი უზერებელი იყოს ცადვებით დამპიებელი ეს წესწყობილება?..

მერწყუნე, მალე მოედება ცეცხლი...
და რაღა გეშვ ლება, აბუეტო?..
ვილაზე ილოცე? ..
ვღას მოუბოი ქედს?..
ხომ ოხრად დარჩა ეგ ზიზ ლ-პიპილა „პავო-ნები“ და ჩაქუნა დებები...

* *

ოცდაათიოდე ახალგაზრდა დავექირეს...
დანაიწინები ცემა ტყეებით გარეკეს...

ჩვენ მიანც დამარცხებულად არ გვიგვრძენია თავი.

სეინილისი დამშვიდებული გვექანდა...
გამაყობლით მით, რომ მიუხედავად რეაქციის მძინვარებისა, დღესასწაული მიანც მოგახდინეთ...
დღვენდლაშდენ ეგონათ, ვითომც ორიანების და ერთიანების შიშის შეტი არა ჰქონდა რა მოწაფეს...

აჲ დარწმუნდენ, რომ არამც თუ ორიანები-სა, ორთავიანი არწივისაც არ გვშინებია.
ჩვენი დემონსტრაციის აშავი ელვის სისწრაფით მოეფინება ქვეყანას...
მტერს გულს მოუკლავს...
მუშათა კლასს კი აუჯგუჯილებს... იმედებით აუღალანებს...

* *

ჩამოგვიყვანეს ქალაქში...
აუბრებელი პოლიციელები ალყადა გვყავს შემორტყმული...

წინ და უკან ცხენოსანი კაზაკები მოთქარუნობენ...
რამდენიმე მათგანს თოფებიც კი მოუშარჯენიათ...

ჩვენ ამ გარემოებამ უფრო გავგაამაყა...
ისე მოვიდიოდით, თითქოს თვითიული ჩვენთან მიართალაც და ქვეყნის ამყირავებელი ყოფილიყო...

* *

ხომ ვიცოდით, რომ როგორც მოწაფეებს, მთელ წლებს არ გავგაჩერებდენ ცხებებში...

მიანც ისე ვეჭვირა თავი, თითქოს დარწმუნებული ვიყავით, რომ შორს ვადაგვკარავდენ ბორკილგაყრილებს...

ციმბირი აქეთ დავჩრებოდა...
აი წარმოვიდგინე ჩემი მოშავალი...
გადასახლებული ვერ ავიტან ჩრდილოეთის ყინვას...

ვესალმები წუთისოფელს...
სიკვდილის გატყოალების დროსაც ქედს არ ვიხი...
მიანც მტკიცად ვარ...

შემოდგომის მქნარ ფოთლებსავით გამოფეტულ ტუტებით ვამბობ:
ჩემუ უკანსკენელი საღამო მსოფლიო პროლეტარიატს...

შორიულ ტურფა საშობლოს ..
ტანჯოლს დედიკოს...
ჩემი სიკვდილი გაუგია ტფიოისს...
სოციალისტური ორგანიზაციები ამაყობენ ჩემით...

გამოუშვეს „პროკლამაცია“...
შიგ ჩემი მამაცობის ამზავია აწერილი...

* *

უცბად შესწყდა ჩემი ბავშვური ფიქრთა დენა და ერთმა ვარეშობამ დაძალონა...

მომავონდა, რომ ჯიბეში ისეთი შინაარსის ქალღაღადები მქონდა, რომელსაც თუ ხელში ჩაივლებდენ—ხეირს არ დაგვყრიდნენ...

უნდა მოესპო როგორმე ..
მაგრამ როგორ?..

გადაყრა არ შეიძლება... შეგენიშნავენ...
მეტი ილაჯი არ არის...

უნდა დავდგე და გადავყლაპო...
მაგრამ მართა მე ბერი მომივა...
გვერდით მომდევს მზია „პეროვსკაია“...
— ძვირფასო, ინებეთ ეს ფურცელი...—მივმართავ მე მას...—როგორც არ უნდა გაგიჭირდეთ მინც მიირთვით...

მე ვიცი, თქვენ ახლა გზიათ...
რა თქმა უნდა, ამის მაგივრად ინდის ხურჩით სჯობია ყელის ჩატბანურება, მაგრამ რა ვუყოთ...
შეიწირეთ სულით და გულით მოაძღვინილო...

„პეროვსკაია“ ხალისით მართმევს და ისე შეექცევა, თითქოს ქაღებით იცმაცუნდეს პირს...

* *

გვეგონა საჟანდარმო სამმართველოში წაგვიყვანდენ...

იმათ კი მეტეხისკენ გავგახვეინეს...
მოხეზი ვერ გამოვიარკვიეთ...
შეიძლება ჩვენი დაშინება უნდათ...
ან იქნება საჟანდარმო მმართველობის საკენები გავსებული აქვთ...

მეტეხისკენ წასვლამ ჩვენ უფრო გავგახბარა...
მეტეხი კუნძული იყო, სადაც მთელი ამიერკავკასიის საუკეთესო სოციალისტებისთვის მოეყარათ თავი..

ვხაზავთ იმათ, ვისზედაც ვოცნებობდით მთელი ჩვენი ახალგაზრდული გატაცებით...

* *

ისე არხინად მივდიოდით, თითქოს პატივრები კი არ ვიყავით, არამედ ხელოვნების მოყვარულნი და მივიჩქაროდით რევოლუციონერ მუზეუმის დასათვალიერებლად...

* *

შევედრეთ მეტეხის აღმართს...
თავს დაგვეურებს ყაზარმული ციხე მრისხანე...

რუხი...
იგი გვაგონებს ზღაპრულ არგუსს...
მხოლოდ ერთი განსხვავება მათ შორის...
მხოლოდ ერთი განსხვავება მათ შორის...

მართალია, არგუსისავით ციხეს მრაველი თვალები—სარკმლები აქვს, მაგრამ ყველა იგი ამაშინებელია... ამომწვარია...

ამ შერეულულ თვალებიდან გამოჰქრის განწირულობა... უსასობა...

მახინჯია ეს ციხე და მიიწვ გვიყვარს...
გვიყვარს იმიტომ, რომ ამ კედლებს შემწრაფი აქვს რევოლუციონერის სისხლი...
შეყინული აქვს მათი უკანასკნელი ოცნებანი...
ჩვენც გვიწია ამ კედელთა შორის გამოაწყვდევა...

* *

გაქირებებაში ჩავარდნილს ხშირად ყველა გვიწიყებს...

არის მხოლოდ ერთი ვინმე, რომელსაც ყველთვის ვახსოვართ...

საცა უნდა იყოს იგი, მისი გული იგრძნობს და ნიავსავით მოფრინდება ჩვენთან საშველად...
ესაა ის, რომლის სახელს წარმოვთქვავთ პირველად, როცა თვალი აგვეხილებთ და ტიტიკის ვიწყებთ...

მასვე სასოებით ვიტყვით უკანასკნელად, როცა სიკვდილის მარადიული სიზმარი გაიყინება სიცოცხლეზე შეოცნებე ჩვენს თვალებში...

ღედაა ეს არსება... ტკბილი, ტკბილი, შეუღარებელი დედაიკო...

ღედაჩემსაც გაუგია ჩემი დაქერა და ციხესთან დამხედა...

მე ავფოფენდი... თვალებგაბრწყინებული გავექანე მისკენ...

მინდა ვახარო, რომ მე მასთან პირშავად არ ვარ...
თავი არ შემირცხვენია...

მტრისთვის ზურგი არ მიმიქცევია...
მოდერილ ხიშტმა შემაჩერა...

არც ღედა მოუშვეს ახლოს...
მხოლოდ შორიდან მიგზავნიდა აღერსს...

სიყვარულს... სითბოს... თან სტიროდა...
ახ, ეს ცრემლები...

მწველი ცრემლები ღედის, როცა არ შეგიძლია მიჰვირინდე მასთან და კოცნით ამოუშვარო თვალები...

საწყალი ღედა...
დაბრუნდა ჩვენს ნესტიან ოთახში...
„ლამფას“ არ გააჩაღებს...

მხოლოდ წმინდა სანთელს აანთებს...
დიოჩოქებს ღვთისმშობლის წინ და იქვითონებს...

ბუწუწებს დაიბღღენის...
შევედრება უფალს, რომ მიხედოს მის შვილს...



ვმ, სად არის ღმერთი, რომ მის მოაუსმინოს?..
ვინ გაუჭარვებს საკირესავით გავარვარებულ
გულს?..

რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა მე რომ თავი-
სუფალი ვყოფილიყავი...

დღის ჯავრის ხანძარს მხოლოდ მე ჩავა-
ქრობდი...

ძვირფასი რამა ყოფილა თავისუფლება...
რალაცა სამი საათის წინეთ მე მქონდა ეს

სიმღიღრე, მაგრამ ვერ ვამჩნევდი...
ახლა გავიგე მისი ყადრი...

ასეა ყოველთვის...
მაშინ უფრო გიყვარდება თავისუფლება, როცა

მას ჰკარგავ...
* * *

როგორც ფარტში * * * საქონელს შელოლავენ,
ისე შეგვრეყს ციხის პირველ ეზოში...

გაგვჩხრიკეს...
სულშიაც კი გვიძვრებიან, რომ რამე გვიბო-

ვნონ...
მართმევენ მიხაკს...

— მშვიდობით, ნაზო ყვაილო!.. შენ აქ ისევე
აკატალული ჰყოფილხარ, როგორც თავისუფლება...

დღის აღერსი... მზის სხივები...
ვათვალღერებ დღივების მოშავებდებულ სარ-

კმელებს...
ვინ იცის... ეგება იმ საკანში ზის რომელიმე

სოციალისტი, რომელიც ნიკოლოზის „დერჯიმორ-
დებს“ ისე დიდხანია რაც გამომწყვდეული ჰყავთ,

რომ დაიწყინათ კიდევ...?
ის კი ზის მხნედ და ოცნებობს მოახლოვებულ

ქარიშხლებზე...
დაგვინახეს იმ საკანის საკმელი, საიდანაც

მოჰკლეს სახელოვანი ღაღო კეცხოველი...
— იმ დღემში წულუკივე ყოფილა გამო-

მწყვედილი...
— იქ ნინოშვილი...

ჩვენ თვალები მოგვიცრემლიანდა მათს გახსე-
ნებაზე...

— იქ კიდევ მთავარ სახელოსნოს მუშები
არიან ჩაკეტილი...

* * *
უტბად ერთმა ნათელმა აზრმა გაგვირბინა
თავში...

— მოდი, როცა მთავარ „კორპუსის“ კარი
გაიღება, ერთხელ კიდევ დაეძაბოთ მარსელიოზა..

ციხე ხომ საესეა მუშებით...
ციონერებით...

ამ სიმღერით მივცეთ სალომი...
გავაგებინოთ, რომ მოვიდა ახალი, დასვენე-

ბული, შეურიგებელი ძალა...
ყველამ მოიწონა ეს აზრი...

მზია — „პეროესკია!“ ხომ ვერხვის ფოთოლი-
ვით ათროლოდა სიხარულისაგან...

* * *
გაილა სქელი რკინის კარი...
ერთხელ კიდევ დავგეთვალეს...

ჩვენ დავაგუგუნეთ მარსელიოზა...
დაიბნა აღმინისტრაცია...

არ მოელოდა ამ „თავხედობას“
ციხის უფროსმა ხომ დაეთრები დაჰკარგა...

— ახ, რას უზამ ამ ლაზებს... ლაწირაკებს?..
ბრაზობს იგი...

მოღერებული რევოლვერით ხან ერთთან მივარ-
დება, ხან მეორესთან...

პირთან მიჰქვს რევოლვერის ლულა, რომ
დააშინოს...

მოუაფენი კი გამოჯაგრებით უფრო ხმაილადა,
უფრო მგზნებარედ მღერიან...

* * *
გადადგით ფეხი ვეშაბი კორპუსის ზღურბლზე...
ერთხელ კიდევ გამოვიხედეთ გარეთ...

შევაღვლეთ თვალები მტრედისფერ ცას... მოკაშ-
კაშე მზეს... მოელურტულე ჩიტუნიებს...

ყველა ისინი იკარგებოდნენ ჩვენთვის...
ამასობაში ვაიხაკუნა კარებმაც...

ციხის უფროსი ვეება კლიტეს ადებდა და
სათხრელი ლოპისავით მსხვილ ურდულს უჭრიდა

კოპაკებში...
* * *

მთელმა ციხემ გაიგო ჩენი მისვლა...
ტაშით შეგვხედენ...

მივიღეს იმ საკანებში,
სადაც:

ბნელოდა კიდევ...
ნესტიც იღვა...

შომშილიც იზმორებოდა...
მაგრამ სადაც უზილაოდ მზადდებოდა შურის-

ძიების ყუმბარები მებერი, ვახტვასული ქვეყნის
ასაფეთქებლად...

დ. თურდოხპირელი.





ღილა ტყეში

(სურათი)

ღილა... ჰუეთქს ცხრათვალა მზე,
ო, იშლის აბრეშუმ თმებს;
იციანს ტყის სალაშზე
და უმკობს თავს ტიტან მთებს...

სიო იბერტყავს კალთებს,
ტაშს სცემს ტურფა ბუჩებს;
ცა ფირუზ თქით ცეცხლს ანთებს
და ყელს ესაღბუნება...

ფოთოლთ შრიალით ისლი
ტბის ლურჯ სარკეში წევბა;
შორს, სადღაც, ჰქრება ნისლი
და სხივთ ელვით იწევბა...

მიწის მწვანე ქათბიზე
მორბის რუ, კლდით ნაშვები;
დოღს ჰკრავს ლაშაზ ნადიმზე
და გულს ევლენა შევბით...

პაწია ზღვისფერ იებს
აუქარგით ხევი;
ლობნი აქვთ აქ ფერიებს
და ცეკვა თავბრუშხვევი...

ბუჩქის ძირს ზის კურდღელი,
ო, ჰკრთის... იცქვეტავს ყურებს,
ჩანჩქერი ათრობს ღელით
და გრილ შხეფებს აპკურებს...

ნალირი ბუნავს ექებს,
დაძრწის დღის აღდევნებით;
თვალებს შიშით აცეცხვს
და ღმუის უძღებ ენებით...

სწყდება ფრინველთ გალობა,
გიჟი ჰიზნი ტრფობით ჰქრის;
ფრთებს ჰშლის იღუმლობა
და თალბ ფიქრებს უკუჰქრის...

ლაფვარდ კამარის აპობს
ურჩი არწივის ნებას;
ნეტარ ლეგენდებს ამბობს
და ეთერს ერკინება...

რა დილა სიამით ჰფრენს,
საკინძაწყვეტილ კორღზე;
სიციცხლე ნაზ სურნელს ჰჟენს
და მღერის ანც აკორღზე...

ზატლო კლდის მწვერვალზე
ჯიხვი სდგას, ვით ოცნება;
მკერდს ითაბობს მზის მწველ აღზე
და ტკბილად იკოცნება...

ამაყ ხიღვით ზე იწევს,
თავმოშწონე შევნებით;
ყველას საბრძოლად იწვევს
და ხტის ვარდის თენებით...

მონადირე ფერდობზე,
ო, წევს... სტკებთა... არ იძერის;
ხელი ეხება თოფზე
და უნებურად ისერის...

ტყვია იხვს გულს ესეება,
სისხლის დენა წითლად ჰჰანს;
ძირს ხრიალით ეშვება
და არე სძღენის უპით ბანს...

ფლატეზე, რქების დარტყმით
ამზუფ ნაწერწკლებსა ჰკეცს;
ტყე კი... გაჰკივის შზარ ხმით,
და შორს სალომური ჰკენის...

განიერ ნესტოებზე,
სიკელილი ბინდით ჰბურავს;
წყრომით მზერს ხეთ რტოებზე,
და მკვლელს უთვლის სამღურავს...

ღრუბელი რუხაფრება,
იშლებთ... საავდროდ ჰქუტს;
ბუნება იფაფრება
და მონადირეცა სწყუტს...

სეტყვამ აწყვა ქნარი,
დილას ფერი უქრება;
ტყეს დაჰფარტატებს ქარი
და ლეწვით ეშუქრება...



ქმეზი

ღლით ადრე შავი სარდაფიდან ორი ძმა გამოვიდა. მათ გაშავებულ სახეებზე ეტყობოდათ უძილობა და უცნაური გულგრილობა.

ერთს ერქვა თიმური, მეორეს თემო.

ისინი დადლილი ნაბიჯებით მიეშურებოდნენ ქვანახშირის მადარაობისაკენ. უსიტყვოდ გაიარეს დიდი მანძილი, გამოართვეს უფროს მუშას სანათები და უსიტყვოდვე ჩაეშვენ რონოლით, რომელიც ორ ლიანდავს შორის მისრიალებდა, ქვევით, მადაროში.

ტყუბი ძმების სახეები ნაშდელილი მუშების სახეები იყო; სულ მუდამ შექმუხნილი, შექმუხნილი იმიტომ, რომ ისინი ძალიან ბევრს მუშაობდნენ გროშებისათვის, პურისათვის.

ყოველთვის შიმშილი, ყოველთვის უძილობა, ყოველთვის მუშაობა სტანჯადა ბავშვებს, რომლებმაც მოიმატეს სამსახი წელი, „მოატყუეს“ მადაროს დირექტორი, რომ ისინი სამუშაოზე მიეღოთ. ო, ისინი დროზე დაეხმარნენ მადარაობაში მუშაობისაგან ილაგაჟაჟებულ დედას, რომელიც ბოლო დროს ძლივსა დაათრევდა ქვანახშირით დატვირთულ ურიკას.

მიძიე იყო პურის შოვნა და ეს „სიმძიე“ ნათლად გამოიხატებოდა ბავშვების გაშავებულ სახეებზე.

რონოდა გაჩერდა. ძმები ვადმოხტენ ღუმელებთან და მთავარ დერეფნისაკენ გაეშურნენ. კიდევ რამოდენიმე ნაბიჯი და თემო მიუბრუნდა ძმას.

— თიმურ, მე ბოლო დროს სული მტუთება გამოქვამულში, არ ვიცი რად არის ასე? შენ?

— მე არ მინდოდა თქვა, მაგრამ მეც კინადამ გული წამივიდა. ხა.. ხა.. ხა.. ხა..— გადიხარხარა თიმურმა.

— მე შეშინია, ვაზი არ იყოს!
— ხო, ხო, ვაზი? როგორ მოვეციდა ქუეში? კონტროლიორები რიდასთვის არიან? შავისთანა რამე რომ ყოფილიყო, მადარაობს დახურავდნენ, და ეს კი როგორც ჩვენთვის ისე დირექტორისათვის არ არის სახიერო.

— დირექტორს რა ენაღვლება.

— სსსუ, ზედამხედველი მოდის. შენ, თემო, მარჯვნივ, მე მარცხნივ. ყოჩაღად იყავ.

— ყოჩაღად იყავ.— გამოემშვიდობა თემო.

— ჟუ, თქვენ ზარ-რამაცემო, ვაბიზა ბაასი? ახლავ დაგაჯარ-რამიმბო.— ჯავრობდა ზედამხედველი.

თემომ შეუხვია მარჯვნივ, დერეფანში გაიარა რამოდენიმე ნაბიჯი, კიდევ შეუხვია და შეფოფხდა ჰაწია გამოქვამულში, სადაც უკვე სამი მუშა იყო.

— ამხანაგებს ვამარჯობა.

— ოპო, თემო? ვაგიმარჯოს. შენი სახე ისე ბრწყინავს, ასე გგონია, 87 კაპეის კი არა, მანეთს გაძლევენ დღის მუშაობაში.— იხუმრა ვილაკამ.

— ხა... ხა... ხა...— ვადიხარხარეს მუშებმა.

მაგრამ სიცილი უცებ შეწყდა იმიტომ, რომ ზედამხედველმა შემოჰყო თავი და ყრუდ ჰკია ხა მუშებს:

— ჰეი, ყველა ხბით?

— არა, ოთხნი ვართ.

— ჰე, ვინ აკლია?


— პეტრე.

— ბებრუხუნა? მაინც არ ვარგოდა, მოკვდა?

— არა.

— მაშ?

გამოქვამულში ჰასუსხს არავინ იძლეოდა. მხოლოდ წერაქების ჩქარი თაქათქი ისმოდა და მწორლავ მუშების სახეები უფრო შექმუხნილი იყო.



— რა-რა-რა-რა არ შიშისუბნებთ?— დაიღრიალა ზედაშუბრულმა.

— ფები მოსტყდა. — ჩურჩულით აცნობა ვილა-ცამ.

— გაფურთხილებლობაა, სხვა არაფერი. მისი-ვე ბრალი იქ ება და ჰინსის არ მიიღებს. თქვენი გვარები ჩაეწერი, ახლა სხვაგან.

ზედაშუბრული წაიღია.

— საძაგირი, — სთქვა თემომ.

— უგულო. — წაიღულულა ვილაცამ.

და ისევ თათქუქი...

თიმურმა შეუხვია და ჩქარის ნაბიჯით გაეშუ-რა დაუბოლოვებელ დერეფანში. მას მისდევდნ მუშები. ყვილა ახარულიდ ლაპარაკობდა: — ბეჭო! გიორგიმ გუშინ ზედ მედღველს ცხვირ წინ ბურუნთი დაუყარა. ოჰ, რაც ჩვენ ვიცანით...

— ვაჰ! მერე არ დაჯარიმა?

— ვერ ვიცი.

— კაცო, ბოლო დროს რაღაც კუდიათა ვგრძნობ თახს, მუშაობის დროს მეძინება ხოლმე. ოთხი წელიწადია ამ მალარობეში ვარ, პირვე-ლიდ კი პერმარტება!

— ძნელია, ძნელი. ჰაერი ცოტაა, ჩვენ კი სულ ვაღრმავებთ და ვაღრმავებთ დედაჩემს.

— ამბობენ: კიდევ აღმოაჩინეს ჩვენს ქვევით ქვანახშირის შრე.

— მოვედით.

— აბა, აბა, ჩქარა, ხუთი წუთით დივივიანეთ, როგორ იქნება, ვა? თიმურ, შენ დღეს და კუთხეში მუშაობ, იმ აქ, ძელის ქვეშ. აბა შექვიერი. აჰა, წერაქვი. სანათიც. აბა ყოჩაღად იყავ — უთხრა უფროსმა მუშამ.

— ყოჩაღად იყავ. — უბასუბა თიმურმა თავის ხვერილიდან და ამუშავა წერაქვი.

ერაი, ორი, ერთი, ო-ი.

ქვანახშირის მალარობე, მიწის ქვეშ, ათასი მეშა ხმარობდა მთელ თავის ძალ-ღონეს, რომ სახლში ლუქა პური მაინც არ გამოჰყოლოდა.

ქვანახშირის სახორციელ, ჰუმრავალენ, ტვირთავ-დენ უორებზე და ასე მუდამ .. არავითარი სახალისო ცვლილებაც, არავითარი სასიამოვნო მოვლენა. ყო-ველ მუშის კანში გამოჰდარიყო ქვანახშირის შავი მტკერი და გაეშვებია სახეში.

დღეს რაღაც არაჩვეულებრივი დღე იყო. მუშები მალ-მალე ისვენებდნ, ოფის იწვენდენ და ისევ მუშაობდნ. კონტროლორები დაზაროდნ ერთი გამოქვაბულიდან მიორგეში და მათ აღყოფე-ბულ სახეებზე გაუბედობა გამოიხატებოდა. მუშებ-საც ვადებდით ეს აღვლევება.

— ჰეჰე! აქ ცოტა ჰაერია. უთხარი ზედა-შხედველს, ვენტრილიატორები ამუშაონ.

— მგორე სართლში შესწვიტეს მუშაობა.

— მე სანათი მიქრება.

— არაფერია. ასწი ზევით.

— თიმურ, რატომ იღარ მუშაობ?

— ამ ხვერულში სული მეხუთება...

შევეხილეთ თემოს გამოქვაბულში! თემო! ერთი აქით მოახანეთ, არაფერი ჩანს! თემო!

— ნახე, ხომ არ ჩაქინა? ხა, ხა, ხა...

— არა, არა სძინავს. თემო?! თემო?!

ვა? — ძლივს წაიღულულა თემომ: — უჰ თავი, თავი... რომ იცოდეთ, როგორ მიძიძის.

— აი უშავს.

— მეც რაღაც მემართება.

— ბიჭებო, ყური დაუღვდით!

ვაისმა ზანზარი, ავღუჯნდა მიწა და თავზარი დასცა მალარობეში მომუშავეებს.

— ჰეჰე, დაიკაპენით! აბა, ბიჭებო, ჩქარა ზევით, თორემ გაზი, გაზი წამოგვეწევა. — დაიღრია-ლა თემომ და ვაგარდა გამოქვაბულიდან დერეფან-ში. იქ უკვე მიზობდნ მუშები. ყველას სახეებზე შიში ეხატა. ახანავი ახანავს არ ზოგავდა, ავღებ-და, იწვედა წინ და ეპოტ-ნებოდა კდღვ სხვას, რომ მალე გამოქულიყო, მოშორებოდა ქვესტნულს, ვაზს რომელიც სიკვდილის ბრქულებით მოსკურავ-და მათკენ.

შიში, ღმუილი, ტირილი — ყველგფერი ერთმა-ნეთში აირია.

ჩამოცურდა რონოდა, აივსო მუშებთ, ასრიალ-და ზევით, იქ, სადაც მზე ჩანდა, სადაც ადამიანი ვაზს გაქცეოდა.

— რონოდა... ა... ა... — დრიალებდნ მუშები. ზოგი სცილილობდა ლიანდაზე აცოცენას — ამოღ. რონოდა კი სრიალებდა ხან ზევით, ხან ქვევით.

აღვლევბული დირექტორი დადიოდა და იგო-ნებოდა. მერე რაღაც გახსენდა, მიუბრუნდა იქვე მდგომ ხალხს, გამოუბახა ზედამხედველს.

— შენ, ძელი გამოხსავლელი დაკეტლია?

— ლილ. — უბასუბა ზედამხედველმა. მაგრამ ეს ტყუილი იყო იმიტრამ, რომ ძე:ლი გამოხსავლე-ლის კარები ვაგეტრიათ მუშების ნათესაებმა და იმ ადგილას მოუთმენლად ელოდნ თავის შვილებს, ქმრებს, მამებს.

სამილი სსკლი, ტირილი, მედნიერი ტირილი. ოო, მოლიან ბევრი ამოცოცდა ძველ გამოხსავლე-ლიან, მაგრამ ძალიან ბევრიც იყო ჯერ კდღვ ქვევით.

უკანასკნელი ამოტყრა თიმური. ხელგებე ტყავი აპკლდეჯოდა, ფრჩხილებიდან სისხლი სწვთავდა. დაღლილი ზარისხე ტკივილენ დანაშქა. ძლივს, ძლივს ამოვიდა ზევით და დაღლილობისაგან იქვე ჩაიკეცა.

დამ დაინახა. მივიარდა.

— თომურ, ჩემო საყვარელო თიმურ, ჩემო კარგო თიმურ! — ტირიდა პაწია გოგონა.

ვლანასკარე თიმური ეცა თავის დას, ხელი წაავლო მხრებში, დაჯანჯღარა და ჩა-წურჩილა:

ღე დას ეტ... ეტყვი, რომ მე წ-ვედი თომოს საშველად. გესმის? ყოჩაღად იყავ. — წამი... და მიწამ ჩაყლაპა თიმური.



ჩაეშვა ქვევით, ჩასრიალდა, ჩასრიალდა პირველ სართულში, ლიანდაგზე, შემდეგ მეორეში და...

მთავარ გამოსასვლელთან კი ცოფიან ძაღლივით დარბოდა თემო და ჰკითხავდა მუშებს:

- სად არის ჩემი ძმა?
- არ გინახავს ჩემი ძმა?
- თიმური ხომ არ ამოსულა?

მაგრამ ყველა მისი კითხვები უპასუხოდა რჩემოდ. მთავარ გამოსასვლელიდან ალაოაჩენ ამოდიოდა. იგი დაკეტეს.

— ბატონო დირექტორო! ვაღლებინეთ კარები, იქ ჩემი ძმაა... ბატონო დირექტორო!! — უცებ გაახსენდა ძვილი გამოსასვლელი, ოგორღაღაც უცნაურად დაიწყებულა და გაეჩანა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

აი ძველი გამოსასვლელი, აგერ დაე...

— თიმური! — ჩააშტერდა და თითქოს მუდართით ჰკითხავდა. დამ, შაწია მტრიალმა გოგონამ, მიუთითა ძველ გამოსასვლელსკენ.

მეორე ძმაც შიანთქა დედაშიწამ.

იგი მისოილებდა ქვევით, ვახსიკენ, რომ ამოეგლიჯა თავისი ძმა ანდა... იგი მეტს არაფერს ჰფიქრობდა.

თიმურ, სადა ხარ, თიმური?

სართულით ქვევით კი...

— თემო, თემოოო...

ძმებს ერთმანეთის არ ესმოდათ. ორივე ერთმანეთს ეძებდნენ. ფოფიავდნენ, ქვეებს ეხლებოდნენ, ხმას იხლეჩდნენ და მათ თვალეშში კი რაღაც რგოლები ტრიალებდა.

უცებ თემომ იგრძნო, რომ ნიადავი გამოეშალა და იგი სცდაც მისტურავდა, ქვევით, უფრო ახლო გაზოხან, და მან შეტყვირა:

— თიმური...

— ა! ვინ?

— თიმური...

— თემო! თემო ხარ?!

ორი ძმა ზაებლაუჯა ერთმანეთს, თითქოს ეშინოდათ, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იქნებოდა.

— ჩქარა. — ერთხმად შესძახეს და ეძებდნენ გამოსასვლელს.

დაღლილები წვრილ ლიანდაგზე სავი სართულის სიაღლეზე უნდა აცოცებულყვენენ. ისინი მიძვრებოდნენ და ლიანდაგზე სისხლის წვეთებს სტოვებდნენ. ისინი ჰფიქრობდნენ დედაზე, დაზე და ვახზე. ო, ისინი ძალიან დაღლილი იყვნენ, მაგრამ მათი მიზანი მათ არ ამჩნევინებდა დაღლილობას. თითქოს ღონე გაუორკვედათ, თითები დაუსალტდით.

სულ ზევით, ზევით. ერთი სართული. მეორე. მესამის ნახევარი და დარჩათ. კიდევ ცოტა და...

თიმუდა მიუბრუნა მწუხარებით სახე სახე თემოს და აკანკალდა.

— თიმური! დედა. ყოჩაღად იყავ.

— ჰა, დედა? — ამ სიტყვამ შემატა ენერგია თიმურს. კიდევ რამოდენიმე ადლი და ორ მოჩვენებას მზემ გაუღიმა.

ამოცოცდნენ. ატროვდნენ და გული წაუფიდათ.

ნახევარ საათის შემდეგ ისინი ჰუჭუჩიან სარდაფში იწვნენ.

და დარბოდა. დედა ვახზემს აშხადებდა. ეჭიმი ჰქუდა იხურავდა წისკელივად.

— ძვირფასო ეჭიმი, განძრევა ხომ შეიძლება? ეჭიმა ნება დართო.

ძმებმა ვადაჰკოცნეს ერთმანეთი.

ეს იყო მათი „შადლობა“.

დღომიღე ანთაძე.





ახვ. დ. კანდელაკის სახელობის ნორკ პიონერთა კოლეჯის მოქმედების ისტორია

ეს კოლექტივი 14 მაისს დაარსდა. ის ჯერ იყო შეერთებული ახვ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის კოლექტივთან, სადაც ძალიან შეეწროებული იყო უბინობის გამო.

ამ ორ კოლექტივში სულ 100 ბავშვი იყო, მაგრამ ენერგიული მუშაობით ბავშვები დაინტერესეს და მათი რიცხვი დღით-დღე იზრდებოდა.

დღეს ამ ორ კოლექტივში 180 ბავშვი ითვლება. ახვ. მარიამ ორახელაშვილის კოლექტივი არის მე-8 შრ. სკოლის შენობაში და ახვ. კანდელაკისკი განათლების კომისარიატში, მაგრამ ჯერჯერობით ამ კოლექტივს ბინა არა აქვს. მატერიალური დახმარება საპატო პიონერებისაგან ძალიან კარგია; კოლექტივს ჰყავს საპატო პიონერები:


- 1) ალავერდოვა — გან-კომის მდივანი, 2) ხუმარიანი — მკირეწ. ვანუ. თავდაც. გამგე, 3) ქავარავა —

გან. მუშაია კავშირის მდივანი და 4) გეგენავა — გან. მუშაია კავშირის მდივნის მოადგილე.



აი მოკლე ისტორია ჩვენი კოლექტივებისა. კოლექტივების პიკორი თამარ გიგაური.

11 ივნისი, 1925 წ.



გავშობ კომუნისტური ორგანიზაციის გუჯარა ლენინის რაიონში

ლენინის რაიონის ბავშვა კომუნისტური ორგანიზაციაში ამჟამად ითვლება (ავკალის ქვე-რაიონის გამოკლებით) 22 კოლექტივი; რომლებშიაც დაახლოებით 2000 ბავშვა.

ამ რამდენიმე თვის წინად ლენ-რაიონში არსებობდა 15 კოლექტივი; ყველა ამ კოლექტივებში დაახლოებით 1200 ბავშვად იყო.

ის მოვლენა, რომ 2 1/2 თვის განმავლობაში, და ისიც ზამთრის პერიოდში, ჩვენი ორგანიზაცია 66%-ით გადიდა, ნათლად აღსატურებს, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ მუშა-მოსამსახურეთა შეილებაში უკვე მოიპოვა სიმპატია.

ჩვენს მუშაობას მრავალი დამატკობელი მიზეზი ხდებოდა, რომელთა შორის უფრო თვალსაჩინოა: 1) ინსტრუქტორების მკირე რიცხვი და ის, რომ მათ სათანადო პედგოგიურ-აღმზრდელი-

ბითი ცოდნა არ აქვთ და 2) კოლექტივებისათვის სამეცადინო ბინის შენობების უქონლობა.

ამ ხელისშემშლელ მიზეზების მიუხედავად ჩვენი ორგანიზაცია მაინც აღუშვამს მუშაობას. ყოველ შაბათობით იმართება მთელი რაიონის ინსტრუქტორების სხდომა, სადაც მუშავდება და ირჩევა ყველა საუბრები და მასალები კოლექტივებში ჩასატარებლად. ამრიგად ყველა ინსტრუქტორს ეძლევა შაბათობით ახალ-ახალი გეგმა მუშაობისა. ყოველ კვირაში პარასკეობით იმართება სპორტო დარბაზში მთელი რაიონის ინსტრუქტორებისა და მათი თანამშრომლების ფიზიკური ვარჯიშობა, სადაც სწავლობენ ინსტრუქტორები, თუ როგორ უნდა ჩაატარონ კოლექტივში ფიზიკური აღმზრდელი მუშაობა.

ორგანიზაციის წინსვლის, ბავშვში თვითმუშაობის და თვითგანვითარების სურვილის და ენერ-

გვის გაზრდის ცოცხალ საბუთს წარმოადგენს საკედლო გაზეთების გამოფენა, რომელმაც შედეგი სურათი მოგვცა:

გაუსული წლის ივლისში მთელ რაიონში გამოსულა 1 გაზეთი, აგვისტოში—1 გაზეთი, სექტემბერში—1 გაზეთი, ე. ი. ან სამი თვის განმავლობაში გაზეთის უშვებს მხოლოდ ერთი კოლექტივი; ოქტომბერში გამოსულა 2 გაზეთი, ნოემბერში—4 გაზეთი, დეკემბერში—11 და იანვარში—43 გაზეთი.

ეს იმას ანტიკებს, რომ ამჟამად ყველა კოლექტივი დაინტერესებულია თავისი გაზეთის სისტემატიურ გამოცემაში. ბევრია ისეთი კოლექტივიც, რომელიც სისტემატიურად უშვებს კედლის გაზეთს 2 და 3 ენაზე. კედლის გაზეთების კონკურსმა წაახალისა კოლექტივები, რომ თავიანთი გამოცემებისა გაეუქმებებინათ.

საინტერესო არის აგრეთვე პიონერთა მუშაობის აღნიშვნა შრომის სკოლებში.

მას შემდეგ, რაც დაარსდა სასწავლებლებში პიონერთა გაერთიანება—„ფორპოსტი“, მოუყვება შორის მებრ სიმბაძია და გავიგნა აქვს ჩვენს ორგანიზაციას.

ლენ-რაიონ ში არსებობს სულ 12 ფორპოსტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მასზე მიზარებულ კოლექტივის ინსტრუქტორი, მთელ რაიონში სამამართლო ფორპოსტად ითვლება რკინისგზის მე-111 შრომის სკოლის ფორპოსტი, რომელიც აერთიანებს 400-ზე მეტ პიონერს, ე. ი. დაახლოებით 70% მთელი სასწავლებლისა. ყოველ რევოლუციონურ ღღესასწაულების ჩატარებას ხელმძღვანელობენ პიონერები. ფორპოსტის ხელმძღვანელი ჩატარებულ იქნა კომკავშირის შობის ღღეს ანტირელიგიური წარმოდგენები; პიესების უმრავლესობა თვით პიონერების მიერ იყო დაწერილი და რაიბიუროს მიერ შემოწმებული და ნებადართული. წითელი არმიის 7 წლის თავზე წარმოდგენილ იქნა აგრეთვე რევოლუციონური პიესები ფორპოსტის ძალით.

სასწავლებლებში (შრომის სკოლებში) მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზებად შეიძლება აღინიშნოს ერთის მხრით იმ ინსტრუქტორების სისუსტე და დატვირთვა, რომლებიც მიმარებულნი არიან ფორპოსტზე ხელმძღვანელად და მეორე მხრით (რაც უმთავრესია) ზოგიერთ შრომის სკოლების პედაგოგების არასიმპატიური განწყობილება ჩვენს ორგანიზაციასთან. არის ისეთი სასწავლებლები, სადაც ფორპოსტის ბიუროს ხელს უშლიან, რომ მან გაართობს კრებას სასწავლებლის ფარგლებში იმ დროს, როდესაც სწავლა გათავებულია. ასეთ სასწავლებლებს სულ ადვილად შეგაჩნევთ, თუ გადახედავთ პიონერების პროცენტს სასწავლებელში, იმ სასწავ-


ლებელში, სადაც პედაგოგები პიონერებს სიმპატიით ეპყრობიან, პიონერების რიცხვითადად (მაგ. რ. გ. VII შრ. სკ.). იქ, სადაც უფრო მეტი რიცხვი, ეს არის შედეგი არასიმპატიური განწყობილებისა პედაგოგიური სამუშაოს მხრით. კომკავშირის პროცენტი ორგანიზაციაში არ არის სავსა. სხვადასხვა რევოლუციონური კამპანიების ჩატარების დროს, როგორც არის ლენინის კვირული და ქალთა დღე—8 მარტი, გადაყვანილი იქნა კომკავშირში 10 პიონერი, მაგრამ ეს მინიმუმ იყო ორგანიზაციის ზრდასთან შედარებით. რაც უფრო იზრდება ორგანიზაცია, მით უფრო მცირდება მასში კომკავშირის პროცენტი. საჭიროა, რომ ყოველივე კამპანიის ჩატარების დროს პიონერების გადაყვანა კომკავშირში ორგანიზაციის ზრდას შეუფარდდეს. ასეთი მიდგომა იქნება უფრო სწორი და კომკავშირის პროცენტიც მუდამ მტკიცე იქნება პიონერთა ორგანიზაციაში. კავშირი და დამოკიდებულება კოლექტივების წარმოებებთან დამატყოფილებელია; ყველა წარმოებას (და დაწესებულებას) ჰყავს მიმარებული კოლექტივი, რომელსაც აფასებს და ეგებება ყველა წარმოება და ეხმარება მის შექმნისდა გვიარდ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტუ. რ. გ. შის მთავარი სახელოსნო, რომელსაც ჰყავს ექვსი (6) კოლექტივი 500 ბავშვი, და რომელმაც გადასული ბავშვებისათვის 1000 მანეთი, და რომლის სასარგებლოდ იმუშავებს მთავარ სახელოსნოსა მუშებმა ერთი დასასვენებელი დღე—კვირა.

ლენ-რაიონის ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციაში დიდ პროცენტს შეადგენენ მუშების შვილები, რაც დიდად უწყობს ხელს წარმოების და ორგანიზაციის კარგი დამოკიდებულების განმტკიცებას.

მიუხედავად კომკავშირის პროცენტის სიმცირისა ჩვენს ორგანიზაციაში, დამოკიდებულება კომკავშირის უჯრედსა და კოლექტივებს შორის კარგია. კომკავშირის უჯრედის ღია კრებებს ესწრებიან პიონერები, მხოლოდ რაც უფრო მეტი პროცენტი იქნება კომკავშირებელთა პიონერთა ორგანიზაციაში, მით უფრო მეტი იქნება ხელმძღვანელობა კომკავშირის მიერ და მით უფრო განმტკიცდება ძმური კავშირი პიონერებსა და კომკავშირებებს შორის.

ამრიგად ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის მუშაობა ლენრაიონში მიუწყებს წინ და რაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მას სათანადო ორგანიზაციების (კოპარტიის, კომკავშირის, პროფესიონალურ ორგანიზაც.) მიერ, მით უფრო ჩვენს იმედებს გაამართლებენ მის წევრნი, მით უფრო მეტი სიმაჟით იტყვიან, რომ პროლეტარიატის დიდებულ ბელადის გ. ი. ლიანს ძე ლენინის სახელობის ორგანიზაციის წევრნი არიან...

ა. ლ. მგელაძე.





ს ა მ ი თ ა ო ზ ა

(გაგრძელება)

განსხვავება პარტიასა, კომკავშირსა და პიონერთა მოძრაობის შორის.

თუ ჩვენ ავიღებთ მახლობელ წლებს, უკვეცხლია, ყველა კომკავშირელები სინამდვილეში ვერ შევლენ პარტიაში იმიტომ, რომ ბევრი ამხანაგი, რომელმაც გაიარა კომკავშირის სკოლა, დარჩება პარტიისთვის უსარგებლო, ვერ ჩაბარებს კომკავშირის სკოლის გამოცდას.

სინამდვილეში აქამდეც იყო საკმაოდ მრავალი რიცხვი ახალგაზრდებისა, რომლებიც კომკავშირში წყურვებდა ითვლებოდნენ მხოლოდ რამოდენიმე თვე, წელი და შემდეგ თავი დაანებებს და პარტიაშიაც ვერ შევიდნენ.

კომკავშირი წარმოადგენს საცერის მივარადაცას, რომელიც სცერის საუკეთესო ელემენტებს და მათ უშვებს პარტიაში.

ასეთივე საცერს წარმოადგენს პიონერთა ორგანიზაცია კომკავშირის მიმართ.

კომკავშირელი ემზადება პარტიისთვის, პიონერი — კომკავშირისთვის.

პარტია მისწრაფის იმისაკენ, რომ მისი შემადგენლობა უკეთესდებოდეს ხარისხობრივად, რომ ის ახალი ძალები, რომლებიც ახლა შედიან პარტიაში ახალგაზრდობის წრიდან, იყვენ კარგად გამოზრდილები და მომზადებული.

ესევე შეეხება პიონერების გადასვლას პარტიაში. პიონერებს, რომლებიც შედიან კომკავშირში, უფრო მეტი უნდა მოეთხოვოს, ვინემ უპარტიო მუშა ან გლეხ ახალგაზრდას, რომელიც შედის კომკავშირში. სწორედ იმისათვის უნდა გაიაროს მან პიონერთა სკოლა, რომ იმით მიიღოს შესაფერისი პოლიტიკური განვითარება, დისციპლინური აღზარდა.

კომკავშირი მისწრაფის იმისაკენ, რომ თანდათანობით გაიზარდოს, უმთავრესად ამ პიონერთა რაზმების ანგარიშზე, რომლებიც წლიდან წლამდე გაიზრდებიან, ახალ ძალებს მისცემენ კომკავშირს.

ბევრ ამხანაგს, რომელიც შედის კომკავშირში, არ აქვს წარმოადგენელი ნათლად, თუ რა დროსათვის და რა სახით ამაღლებენ ისინი თავის თავს პარტიისთვის. კითხვაზე: „როდის ფიქრობ პარტიაში შესვლას“, უმეტესობა კომკავშირელებისა გიპა-

სუბებს: „არ ვიცი“, ან საერთო ფრაზებით: „როდესაც მოვეზადები, როდესაც უჯრდი გადამცემს“ და ა. შ. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ახალგაზრდების მხრით არ არის სწორი.

კომკავშირის ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს, რომ სულ მოკლე ხანში მან უნდა მოამზადოს თავისი თავი პარტიისთვის, რომ მან მთელი ძალოვნე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში შევიდეს პარტიაში, არ უნდა უცადოს, სანამ უჯრდი მისცემს მას პარტიაში შესვლის წინადადებას ან სანამ არ გადასცემს მას რომელიმე სახეიმა დღესასწაულზე.

თვითთულმა პიონერმა უნდა იცოდეს იმის შესახებ, რომ მისი ძირითადი ამოცანა არის, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში მოამზადოს თავისი თავი კომკავშირის რიგებში შესასვლელად. მან არ უნდა უცადოს, როდის გადასცემს მას პიონერთა რაზმი, არამედ თვითონ უნდა მივიდეს მაშინ, როდესაც ის ნამდვილად იგრძნობს თავის თავს საკმაოდ მომზადებულად კომკავშირში შესასვლელად.

ვისაც მიჰყვება ახალგაზრდობა, მისია მოივალა.

ასე თანდათანობით იზრდება პიონერთა ვადისგულა კომკავშირში და კომკავშირიდან პარტიაში.

არის ძველი ანდაზა: „ვისაც მიჰყვება ახალგაზრდობა, მისია მოივალა“. და ამიტომ მისხვედრია, რომ ყოველი პარტია ცდილობს, იბრძოს იმისათვის, რომ მოიპოვოს ზეგავლენა ახალგაზრდობაზე. მაგრამ არცერთ პარტიას, არცერთ ქვეყანაში არ ჰყავს ისე მრავალიცხოვანი მარქაფი, როგორიც ჩვენს სახელოვან და ბრძოლებში გამობრძმედილ რუსეთის კომუნისტურ პარტიას. არც მენშევიკურ და ბურჟუაზიულ პარტიას არ ჰყავს ისე დამხმარე და შექცეული სიმაგრე, როგორიც არის კომკავშირა და უკანასკნელ წლებში ფრთავაზილი ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა, რომელიც თავის რიგებში უკვე რამოდენიმე ასეულათას ბავშვს აერთიანებს. ტყუილად არ აქვევდა ჩვენი ღირი ბელოდი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდობას, მის აღზრდას, ორგანიზაციას. და იმიტომ, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიას ჰყავს თავის მხარეზე

მრავალმილიონიანი არმია კომკავშირელებისა, რომელიც უფრო სწრაფათა იზრდება რიცხოზობრივად და ხარისხობრივად. ვინმე თვით პარტია, და იმიტომ, რომ კომკავშირის მიჰყვება ისეთი შეწყვეტილი თაობა, როგორცაა პიონერთა ორგანიზაციები, რომელიც თავის რიგებში ითვლის 600,000 წევრს, —უკვე ერთი ამ ფაქტით შეიძლება გადაპრით ვთქვათ, რომ უკვე არაფერს არ შეუძლია დააბრუნოს ძველი კაპიტალისტური წესწყობილება.

როგორ არის მოწყობილი პარტია, კომკავშირი და პიონერთა მოძრაობა?

ახლა იმ საკითხიდან, თუ როგორი განსხვავებება პარტიასა, კომკავშირსა და პიონერებს შორის რიცხოზობრივობით, ზრდით და ზეგავლენით პროლეტარულ და არამუშურ მცხოვრებთა წრეებზე, ჩვენ გადავალთ მეორე საკითხზე, —რა სახით იქმნება პარტია, კომკავშირი და ბავშვთა პიონერების მოძრაობა.

დავიწყოთ ბოლოდან, ე. ი. იქიდან, თუ როგორ არის მოწყობილი პიონერთა ორგანიზაციები.

პიონერების ორგანიზაცია.

როგორ შენდება პიონერთა მოძრაობა? ავიღოთ სკოლა, სადაც არიან პიონერთა რაზმები, რომელნიც ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ძირითად უჯრედს შეადგენენ. ამ რაზმების სათავეში სდგას კომკავშირელი, რომელიც გამოყოფილია კომკავშირის უჯრედისაგან. შემდეგ რაზმი იყოფა ჯგუფებად; რომელთა სათავეშიც სდგას ჯგუფების უფროსი, —პიონერებისაგან არჩეული. ეს ჯგუფები ერთდებიან რაიონის მაშტაბით და არსებენ პიონერების სარაიონო ორგანიზაციას. დროგამოშვებით ხდება რაიონის პიონერების საერთო კონფერენციები.

პიონერების რაიონულ ორგანიზაციის სათავეში სდგას პიონერთა სარაიონო ბიურო, რომელსაც ჰყავს კომკავშირის სარაიონო კომიტეტი. ამ სარაიონო ბიუროს შემადგენლობაში შედიან უმეტესად კომკავშირელები და მხოლოდ მცირე რიცხვი პიონერებისა.

ტფილისის პიონერთა ორგანიზაციის სათავეში სდგას ტფილისის ბიურო, რომელიც გამოყოფილია კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მიერ და შესდგება განსაკუთრებით კომკავშირელებისაგან.

საქართველოს პიონერთა ორგანიზაციების სათავეში სდგას ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პიონერთა ცენტრალური ბიურო, რომელშიაც აგრეთვე მხოლოდ კომკავშირელები შედიან. მსოფლიო პიონერთა ორგანიზაციების,

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის სათავეში სდგას ბიურო, რომელიც გამოყოფილია საერთაშორისო მშრომელ ახალგაზრდობის კავშირის, ახალგაზრდობთა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და შესდგება განსაკუთრებით კომკავშირელ მუშაკებისაგან, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო მაშტაბით ბავშვთა ორგანიზაციებში.

რას ვხედავთ ჩვენ აქედან?

ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, სადაც ყველა კომიტეტები, დაწყებული სკოლის რაზმებიდან და გათავებული ცენტრალური ბიუროთი, იყვლადეს თვით პიონერების მიერ.

კომკავშირი — პიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელი.

არ იქნებოდა სწორი და მუშაობისათვის სასარგებლო, რომ პიონერთა რაზმების და ბიუროების სათავეში იდგნენ თვით პიონერები.

პიონერები თავის წლოვანებით და განვითარებით ვერ შესძლებენ დამოუკიდებელი ორგანიზაციის შედგენას და მის უშუალო ხელმძღვანელობას, ის იქნებოდა მხოლოდ კომკავშირის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ, სწორედ ამატომ პიონერთა რაზმებს სათავეში უღვიან პიონერთა უფროსი ძმები — კომკავშირელები.

კომკავშირელები ცდილობენ და ყოველგვარად ხელს უწყობენ, რომ ჩაითრიონ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში ბავშვები, მაგრამ ძირითადი ხელმძღვანელობა და მთელი მუშაობის წარმოება მთლიანად ვალდებული აქვს კომკავშირს.

აქ წარმოიშობა ასეთი საკითხი: რისთვის გადასცა პარტიამ ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელობა კომკავშირს? პიონერთა რაზმების სათავეში რისთვის არ სდგას ბიუროები, სპეციალურად დაარსებული პარტიულ კომიტეტებათ, — განსაკუთრებით პარტიის წევრთაგან, რომლებიც შესძლებდნენ პიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელობას?

ეს აიხსნება იმით, რომ კომკავშირი არის ორგანიზაცია, რომელიც თავის წლოვანების მიხედვით უფრო ახლო სდგას ბავშვებთან, და რომ კომკავშირელები უკეთესად შესძლებენ ბავშვთა შორის მუშაობას, ვინც ამის იხამს მოზარდული მუშები, მუშა-ქალები და პარტიის წევრები.

ბავშვებთან მუშაობის საწარმოებლად საჭიროა ვაგებული მისვლა. საჭიროა სერიოზული სწავლება შეეფერთოდ თამაშობასთან, გართობასთან, საჭიროა ყოველ საუბარში შევიტანოთ სიცოცხლის და

სიციხოველის ელემენტები. ამის გაცემა კი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ ამის უნარი, მეორე მხრით თვით კომკავშირისათვის აქვს აღმზრდელობითი დიდი მნიშვნელობა, იმის, რომ მათ ხელში გადასული ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელობა, პიონერთა შორის მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი კომკავშირელები თვით იზრდებიან ამ მუშაობაში, სწავლობენ უპარტია ბავშვთა ორგანიზაციას. აი, ამიტომ იყო, რომ პარტიამ პიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელობა და მის რაზმებში უშუალოდ მუშაობა კომკავშირის გადასცა. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს პარტია სრულიად არ არის დანტერსებული და არ ხელმძღვანელობს პიონერთა შორის მუშაობას; პარტია იძლევა საერთო ხელმძღვანელობას, საერთო ამოცანებს, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობა და საქმის წარმოება კი დაკისრებული აქვს კომკავშირს.

როგორ არის მოწყობილი კომკავშირი.

ახლა შევეხოთ, თუ როგორ არის მოწყობილი კომკავშირი. ის ეწყობა ისე, როგორც პიონერთა ორგანიზაციები, პიონერთა რაზმები?

კომკავშირს ქარხანა-ფაბრიკებში არ ჰყავს თავისი რაზმები, არ ჰყავს თავისი ჯგუფები. ძირითადი საფუძველი არის კომკავშირის უჯრედი, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ წარმოების კომკავშირელებს.

რით განსხვავდება უჯრედი ჯგუფისგან? პირველყოფილი უჯრედი არ იყრება ნაწილებად დასმდრო გეგმის თანხმად. მაგრამ უმთავრესი არის ის, რომ უჯრედის ბიუროს, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ მუშაობას, ირჩევენ მაშინ, როდესაც პიონერთა ჯგუფებს ხელმძღვანელობს ამა პიონერთა მიერ არჩეული პირები, არამედ კომკავშირის უჯრედისგან გამოყოფილები. შემდეგ რაიონულ მაშტაბით არსებობს კომკავშირის სარაიონო კომიტეტი, რომელსაც არ ნიშნავს და არ გამოყოფს პარტიის სარაიონო კომიტეტი, არამედ ირჩევენ კომკავშირის სარაიონო კონფერენციის, იგივე ხდება ტერიტორიის, ცენტრალური და საერთაშორისო მაშტაბით. კომკავშირის ტერიტორიის კომიტეტს ირჩევენ საშაბრო კონფერენციებზე, ცენტრალური კომიტეტს სრულიად საქართველოს ყრილობაზე, ხოლო ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს — საერთაშორისო კონგრესებზე (ყრილობაზე).

ეს იმას ნიშნავს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ კომკავშირი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც დამოუკიდებლად ირჩევს თავის კომიტეტებს, და ეს კომიტეტები ხელმძღვანელობენ კომკავშირის მთელ მუშაობას და დამოუკიდებლად სწავებენ მთელ თავის საქმეს.

შეიძლება თუ არა ისეთივე მდგომარეობა იყოს კომკავშირში, როგორც არის პიონერთა ორგანიზაციებში, შეიძლება თუ არა კომკავშირის სათავეში იდევს პარტიისგან დანიშნული ძველი


პარტიული მშანაჯი, რომელიც არასდროს არ ყოფილა კომკავშირში? ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა სწორად და აი, რატომ? კომკავშირის შეუძლია აღიზარდოს მომავალ კომუნისტურ მხოლოდ თვითომკმელებზე დაუძღვების შერდეგ, კომკავშირული უკვე იწყოფება ისეთ ხანში, რომ მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა ის საკითხები, რაც მას ენება.

დღეს კომკავშირის ძირითად კადრს 17—20 წ. ახალგაზრდები წარმოადგენენ. საერთოდ კი კომკავშირში ობებულობენ 14-დან—23 წლამდე. უერ ქვეშ მუშაობის დროს (20 წლის წინ) ჩვენს პარტიაში უმეტესად ახალგაზრდები შედიოფენ. მაშინ ბურჟუაზია ხშირად დასციროდა ამ ორგანიზაციის და ეუბნებოდა: „თქვენთან თავმოყრილი არიან ძმებმუშოგარი ბავშვები, თქვენ გაქათ არა პარტია, არამედ შემთხვევითი შეყრილი ახალგაზრდობის შეკრებილობა“. ბურჟუაზიის ასეთ გამოსვლას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უპასუფებდა, რომ ჩვენმა პარტიამ, რაოდენაცაც ის მოწინავე პარტია არის, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას ქჰქნის, — აუცილებელი და სრულიად ვასაკები მიზნების გამო თავის რიგებში უნდა მოაქციოს უპირველეს ყოფლისა მშრომელი ახალგაზრდობა, ყგილაზე უფრო ცოცხალი, რევოლუციონურნი ნაწილი ახალი კლასისა.

უფკიკა, დღეს რომ კომკავშირი არ არსებობდეს, მაშინ კომკავშირელების უმრავლესობა, რომლებიც დღეს პარტიაში არ შედიან, პარტიის წევრები იქნებოდენ და აქტიური მონაწილეობას მიიღებდენ მის მუშაობაში. მაგრამ საერთო ანგარიშით კომკავშირელების უმრავლესობას ესაქიროება აღზარდა-განვითარება. ეს მან უნდა მიიღოს კომკავშირში, იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ჰყავს დამოუკიდებლად არჩეული თავისი ორგანოები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ კომკავშირის მთელ მუშაობას. უამისოდ კომკავშირელების აღზრდა, მათი მომზადება პარტიისთვის არ წავიღოდა წინ შესაფერისი გამარჯვებით. აი რატომ წარმოადგენს კომკავშირი პიონერთა ორგანიზაციებისგან განსხვავებით დამოუკიდებელ ორგანიზაციას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს კომკავშირი წარმოადგენდეს პარტიისგან სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზაციას, არ ემორჩილებოდეს მის გადაწყვეტილებებს. პირი ზით, კომკავშირის პროგამასა და წესლებში ნათლად არის განსაზღვრული, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მთლიანად ემორჩილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და პარტიულ ყრილობების გადაწყვეტილებებს.

თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტია კომკავშირს, ამაზე შემდეგ

(დასასრული იქნება)



ალექსი მიჩინაშვილი

24 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი დამსახურებული მასწავლებელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსი მიჩინაშვილი.


ვისაც ქართველი ხალხის გონებრივად განვითარებისათვის თვალყური უდევნებია, იგი, უძველესი, საბატო ადგილს მიაკუთვნებს ალექსი მიჩინაშვილს, ამ მშვიდობიანს, წყნარს, ზნეობრივად სვეტაკ აღაძინს, რომელმაც ადულაღი მოღვაწეობით ფრიად შეუწყო ხელი ქართველი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა მტკაღ სამწიფო და სამძიმო საქმეა, მაგრამ მიუხედავად ამისა ალექსი მიჩინაშვილმა, საზოგადოებას სიყვარულით გამსჭვალულმა, სძლია ყოველივე დაბრკოლება, პირნათლად შეასრულა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა.

ამიტომ საქორბო მიგვაჩინა გვაეცნოთ ჩვენს ნორჩ მკითხველებს ვინაობა და ღვაწლი იმ კაცისა, რომელიც სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით, ყველგან და ყოველთვის ქაბუკურის აღტყინებით შრომობდა ქართველი ხალხის გონებრივად წარმატებისათვის.

ალექსი მიჩინაშვილი დაიბადა 1860 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ ანავაში. მამა მისი ივანე მიჩინაშვილი სოფლის სკოლაში ნასწავლი გლეხი იყო. ის ითვლებოდა სოფლის საქმისა და მეურნეობის ზედმიწევნით მკოდნე და შრომისმოყვარე გლეხად. მაგრამ ალექსის ავტობიოგრაფიის მიხედვით ივანე იყო „მოისხანე, სასტიკი და ბრაზიანი ხსიათის“. სამაგიეროდ ღვდა იყო სათნო, ღობიერი, უსახლკაროდ მისიყვარულე აღაძინა, რომელიც თავისი ტკბილი აღტყინით და ფაქიზი მოპყრობით უნელღება გულში პატარა ალექსის „მამისაგან ანთებულ ცხარე კოცონს“.

მიუხედავად სისასტიკისა, ივანეს თავისი პატარა ალექსი ძლიერ უყვარდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისთვის შესაფერი ცოდნა მიეცა.



ექვსი-შვიდი წლის ალექსი მამამ პირველად სოფელ ვაქირის სკოლაში მიაბარა, სადაც მასწავლებლობდა ადგილობრივი „ბლადოჩინი“, ვინმე ხატიაშვილი. სამწუხაროდ, მასწავლებელი ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მოწაფეების სწავლა-აღზრდის საქმეს და ამიტომ ალექსიმ სოფელ ვაქირის სკოლაში მთელი ორი წლის განმავლობაში თითქმის ვერაფერი ვერ შეისწავლა, რის გამოც იგი მამამ სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანა.

ნიჭიერ ალექსის სიღნაღის სასწავლებელიც ვერ აკმაყოფილებდა და 1873 წელს მამამ ალექსი ტფილისში წაიყვანა და სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარა. როდესაც ეს სასწავლებელი დასრულდა, ალექსი თვით სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა და სახელმწიფო ხარჯზე დასრულა 1881 წელს.

ინსტიტუტში თავისი ნიჭით, ბეჯითობით და სწავლთ ის მთელი სასწავლებლის ყურადღებას

იპყრობდა და როგორც მოწაფე ამხანაგები, ისე მასწავლებელთა მთელი კორპორაცია ღიღის იმედებით შეტყუებდნენ მას. მოწაფეობის დროს ალექსი მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც ამხანაგების თვითგანვითარების ფარულ წრეებში, ისე მაშინდელ ქართველ ინტელიგენციის სხვადასხვა ორგანიზაციაში და პირისპირ ცენობდა ჩვენს საზოგადო მოღვაწეობას.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციაში მონაწილეობის დროს ალექსიმ გაიცნო მაშინდელი სათავადაზნაურო სკოლის გამგე, ცნობილი მწერალი ნიკო ლომოუფი, რომელმაც ამ ორგანიზაციაში მუშაობის დროს შეაძინა ალექსის ნიჭი და გამჭირაობა და საბოლოოდ გადამსწყებია, როცა ის კლასის დაამაჯებდა, ქართული სკოლის მასწავლებლად მოიწვიდა.

1881 წელს ალექსიმ დაამთავრა ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი და იმავე წელს მიწვეულ იქნა ნიკო ლომოუფის მიერ ტფილისის ქართული სკოლის მასწავლებლად.

ტფილისის ქართულ სკოლაში იმ ხანებში ისეთი რეჟიმი გამეფდა, რომელსაც ვერ შეეგუა

ახლოვარდა პედაგოგი და ორი წლის შემდეგ გადავიდა მასწავლებლად ტფილისის ალექსანდრეს სამაწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში, სადა 17 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა და ნიჭიერი მასწავლებლის სახელი მოიხვეჭა.

1900 წელს ალექსი შირიანაშვილი ტფილისის კომერციულ სასწავლებელში მიწვივის, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა 1923 წლამდე, როცა იგი, მკტის შრომისაგან დაფარდმყოფებული, იძულებული შეიქმნა თავის საყვარელ საქმეს საბოლოოდ ჩამოშორებოდა.

ალექსი შირიანაშვილის საპედაგოგო ასპარეზზე მოღვაწეობა მეტად დიდმნიშვნელოვანია მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროს და პირობებს, როცა ის მოღვაწეობდა, როცა მის პედაგოგიურ მოწაშმის ცხოვრებაში გატარებას მრავალი შინაგანი და გარეგანი მტერი შეგნებულად უშლიდა ხელს.

ორმოცდაორი წლის განმავლობაში ის შეუდრეკილად იბრძოდა განათლების ფორტზე და ქეშარიტ განათლების დროშას არ ათელინებდა ჩვენს მტრებსა და მოყვრებს*.

მუდამ წყნარი, უაღრესად სპეტაკი, მოზარდი თაობის უსაზღვროდ მოსიყვარულე ალექსი მთელი ორმოცდაორი წლის განმავლობაში ებრძოდა რაშინდელ რიგებს და სსკოლა პოლიტიკას, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის დამახინჯებას და გადაგვარებას ცდილობდა.

იშვიათი ენერჯის უნდა იყოს ადამიანი, რომ პირნათლად მოახერხოს ასრულება მასწავლებლობის მძიმე და პასუხსაგები მოვალეობის და ამავე დროს თავისი წვლილიც შეიტანოს მწერლობისა და საზოგადო ცხოვრების განვითარებაში.

ალექსი ამას ახერხებდა.

ქართული ლიტერატურისა და, საზოგადოდა ქართული მწერლობის საყვარელი მას შეგვიდობინდნე ადებრა.

სამასწავლებლო ინსტიტუტის უფროსი კლასის მოწაფეებს იმ დროს ფართული წრეები ჰქონდათ მოწყობილი და ამ წრეებში ქართულს ენას და ქართული მწერლობის შესწავლას დიდი ყურადღება ჰქონდა მიუძღობილი.

ალექსი მსურავლემ მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა ამ ფართულ წრეებში და უფროსი მოწაფეების ხელმძღვანელობით ეტარებოდა ჩვენს წარსულს და თანამედროვე ტერმინატურას. უფროსი ამანაგებები—ივანე როსტომაშვილისა და აბელ ბაირამაშვილის—ხელმძღვანელობით მან საუფუძლიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურა და საკმაოდ მომადლებული გამოვიდა საშობაწეო ასპარეზზე.

თითქმის ყველა ქურნალ განხეთქებში დაუესებდა ის პედაგოგიურ წერილებს, საყმწველო, მოზარტებებს და ივავებს.

უხლოვის მონაწილეობას იღებდა „ჯეჯალსა“ და „ნაჯალში“.

ქურნალ „ნაჯალში“ დაარსებულანე თანამშრომლებდა და მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო 1904 წლიდან 1921 წლამდე.

ამ საპატოო და პასუხსაგებ თანამდებობას განსვენებული ჩვეულებრივი სიფრთხილით, წინდახედულობით და მოფიტვებით ასრულებდა მათელი თუთხმეტი წლის განმავლობაში.

ქურნალ „ნაჯალის“ სარედაქციო მისალის განხილვის დროს ის დიდის სიფხიზლით და ყურადღებით ეყარებოდა დასასტავავად წარბოდეწილ თვითოვეულ ნაწარმოებს და განსაკუთრებით კი იმ ნაწარმოებთ, რომელთა ავტორები ახლად იწყებდენ მწერლობას, და ამასვე მოითხოვდა ამანაგებისგან.

სწორედ ამით აიხსნება, რომ „ნაჯალის“ რედაქციამ ფართო ადგილი დაუთმო იმ ავტორებს, რომელნიც პირველად გამოდიოდენ სამწერლო ასპარეზზე და რომელთაც შემდგომ მართლაც თვალსაჩინო ადგილი დარქირეს ჩვენს ქართულ საყმწველო მწერლობაში.

ალექსის ნაწარმოებინი, რომლებიც განბეულია სხვადსხვა ქურნალ-განხეთქებში, უთავარესად საქართულიში სწავლა-ღიზრდის უყვე მოწესრიგების საკითხს შეეხებოდა.

თავის პედაგოგიურ ხასიათის წერილებში ის ყოველთვის იმ აზრს ატარებდა, რომ მოზარდი თაობის ნარბალური სწავლა-განათლება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით.

განსვენებულის კალამს ეკუთვნის აკრთვე ცალკე წიგნებად გამოცემული „წერის დღანა“ და „ჩვეული ივავაკები“. ორივე წიგნი საქმის ცოდნითა და ნიჭიერად არის შედგენილი და კიდევაც ამიტომ, რომ ორივე ნაწარმოებმა ფართო გზა ვიცავი ქართულ საზოგადოებაში.

ალექსი შირიანაშვილის ივავით თავისი ვარგული ფორმით, შინაარსით და მხატვრული ასახვით იშვიათ ნაწარმოებებად უნდა ჩითავდოს ქართულ საყმწველო ლიტერატურაში და კიდევაც ამიტომ, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ამ წიგნს, რომელიც უკვე მეორედ გამოიცა, ასე გულმოდგინედ და საყვარულით ეწაფება.

ასეთი იყო ცხოვრება, შრომა და მოღვაწეობა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოცდაორი წლის განმავლობაში მხნედ და დაუღალავად ემსახურებოდა ხალხს და ამრიგად პირნათლად ასრულებდა თავის მოქალაქობრივ მოვალეობას.

ალ. მიქაბერიძე.



ს ლ მ ა ნ ი

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

გზა იკლავება, ერთ ადგილას უცბად მოუხვევს... მერმე დაღობათი.

ქანცვათოღულ სამაზრო ქალაქის ქვიან გზას მისცემია სისწორე ისრის.

მზის ვნებით გაბრუნებული ველის პანორამა უზილავ ღერძზე ტრიალდება—თვალწინ მწვანე ვიწრო ზოლია.

მთის ქედი თოვლით გათეთრებული, სილურჯე ოდნავ რომ გადაჰკრავდა, ვილაც უზილავ ჯადოქრის ნებით ახლობდელ მთების ნიკებებს იქით ჰქრება, ინთქმება.

ეს მახლობელი მთები იზრდება.

ჰორიზონტი მთლად მთ მოუკავსთ.

რამდენად უფრო უახლოვდებით, იმდენად უფრო იზრდებიან, კახეთის ლურჯ ცას იპყრობენ მეტად.

ალვანის მინდორი ჩემთვის ისევ დაფარულია—ჩიკვანარი და თხელი ტყე ჰფარავს.

ალაზანში გაველ, უკან მოვიტოვე თეთრი ალავერდის კედლები—და უკვე მთიულ თუშთა სამფლობელოში ამოგჰყავ ფავი.

ქვედა ალვანი.

ირგვლივ სიჩუმე, მყუდროება—ვით სოფელს ჰშვენის.

სახლები, მიწას ძლივს რომ ასცილებიან. მესერი... ლობე.

საბაზინო რამ უნებურად გეცემათ თვალში—და მეც ადვილად ვიპოვე ერთი საწყაღი შენობა, გვერდზე მოქცეული აივნით და ტრაფარეტული სვეტებით.

თუთუნის კვამლით სავსე ვიწრო ოთახში იყო. სოფლის საბუთა თაგისი სრული შემადგენლობით.

გლუნების დაკოჭრებული თითები მკიდროდ ჩისქიდებია სათუთ კალმებს.

გაღჰაპრებული სერიოზულობით და დაქიმული ყურადღებით ნელა-ნელა ამოძრავებენ თითებს ქალადღზე.

სოფლის საბუთს თავმჯდომარეს მძიმე ბუხრის ქული ეხურა, წარბები ერთმანეთთან შეერთებოდა.

შეიკუმუნა წარბები—მანდატის წაკითხვა სურს. მერმე მანდატი უმიზნოდ შეატრიალ-წემოატრიალა, თითქოს ქალადღს სინჯავსო—და საქმის მწარმოებელს გადასცა...

ჩემი ბედი გადაწყდა. მე მიმიღეს, როგორც სასურველი სტუჰარი.

საქმის მწარმოებელს, ნიკოლოზ ვაციანიძეს, როგორც ოფიციალურ პირს, დაეაღეს, რომ ჩემთვის გავცნო ჩაღმა თუშები.

ვაციანიძეს ლაპარაკი უყვარდა.

ის სხედასხვა ადგილას ნაჰყოფი გამოდგა და პარველ ჩემ კითხვებზე, თუ როგორია ალვანში ცხოვრება, ნაღლიანად მომიგო:

— ძნელია აქ ცხოვრება, დამიჯერეთ, ძნელია. ჩვენ აბანო არა გვაქვს, მე კი 15 წელი რუსეთში მიცხოვრია.

ამის შემდეგ მან, როგორც და რითაც შეეძლო, დამტკიცა თავისი განათლებულობა.

ის რუსულად ლაპარაკობდა.


ეს ენა მან კარგად იცოდა.

სალამოს ალექსანდრე რაინაურის სახლში მიმიყვანა.

ჩვენ ცივი ბუხრის წინ დავხედით, სახლის პატრონებს ველოდებოდით.

აქ გავიგე, რომ ვაციანიძე ყოფილი კატორღელია, რუსის ქალი ჰყავს ცოლად და თავის სამშობლოში არც მიწა გააჩნია და არც ცხვარი.

რაინაურის სახლში ჩვენ დავიხვება ერთი მუშა. ალექსი თომოიძე ვარო—გვითხრა ჩვენ იმან, მაგრამ მალე გავიგე, რომ ის მარათლაც ალექსია, მაგრამ თომოიძე კი არა, არამედ თომოი-ოღლი, აისორი, ომიანობის დროს ლტოლვილი. უკვე 8 წელიწადზე მეტია, რაც ის ალვანში ცხოვრობს, თუშებში, და ახლა მათგან თითქმის არც კი განირჩევა.



მალე დიასახლისიკ მოვიდა.
ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი იყო, მთლად
შავებში გამოწყობილი.

მან ბუხარი დაანთო და ტკბილი საუბარი
დავაწყო.

ის ოთახი, რომელშიც ჩვენ ვიჯექით, თუშური
სახლის ჩეფულებზრვ საცხოვრებელ ოთახს წარმოა-
დგენდა.

აქ იყო ფართე ტახტი, ქვეშავებლების გროვა.
იატაკზე—სპიონენძის ჭურჭელი, ჭერზე კი—თოკებ-
ზე და რგოლებზე—ათსგვარი საქარო რამ.

დიასახლისი იატაკზე დაჯდა და თავისი გაჭირ-
ვებული ცხოვრება გვიამბო.

ის ქვრივია. სახლში არიან ის, მისი რძალი
და მუშა—ალექსი.

მისი ვაჟი შირაქშია, ცხერებს მწყესავს. წელი-
წადახე მეტია, რაც შინ არ ყოფილა.

ეს აქ ჩეფულებრივი მოვლენაა. ჩეფულებრივი
მოვლენაა ისიც, რომ შეილი პროგინანზისა ვა-
თაებებს, მერმე მწყესსობას მოჰკიდებს ხელს, კოლს
შეირთავს და ერთი კვირის შემდეგ წაეა შინიდან.

საღამოს ჩვენ სასტუმრო ოთახში ვაღივდიით.
„ძალო“—ახალგაზრდა, კობტა ტანის ქალი, ესეც
მთლად შავებში გამოწყობილი—ეს არის თუში
ქალების ნაციონალური ტანისამოსის ფერი—„ჩაის“
ასხადა და გავწოდებდა. სხვებიც გვესტუმრენ—
ესენი იყენენ თუშები, რომლებსაც ჩემი მისვლა
გაეგოთ.

* * *

ალენის მინდორი ზაფხულობით ცარიელდება.
ითას ორასი კომლი იყრება, რამდენიმე თასს ცხენს
დატვირთავენ სხვადასხვა ნივთებით; სანოვაგით და
პატარ-პატარა ჯგუფებულ დაყოფილნი, საბრძოლ-
ველად გამზადებულნი მიდიან მთებში, შორეულ
მთებში, ოთხი უღელტეხილის იქით.

მათ უნდა გაიარონ ციკაბო, ვიწრო, გაუვალი
მთის ბოლიკები, მათ უნდა გაიარონ ხეობები, ისინი
უნდა გავიდნენ აჭაფებული, გჯერ მდინარეების დაკი-
ლებულ ხიდებზე, უნდა მივიდნენ მთა-თუშეთში,
მიუვალი მთების ქვეყანაში, იღუმალი და მიმზიდველ
ბორბალოსთან.

სამი დღის მწელი მგზავრობა, ცხენების ჰენება
მოულოდნელო შეტაკებანი ქისტებთან—მერმე კი
ცალ-ცალკე ოჯახებად დაბნავენება იმ ორმოც
პატარა სოფელში, რომელნიც კლდეებს მიჰკვრიან.
ძირს კი ხრამებია, სადაც მუღმივი თოვლია,
სადაც მუღამ გრილა.

თი უბრალო ამბავი, რომელსაც მარტივად
გაღმოკვეთ, ჩემდათავად არაფერს არ დავუმატებ.

ერთ წელიწადსაც არ გაუვლია მას შემდეგ,
რაც პირიქითელი კობე ბაკურიძე სტუმრად მწვედა
ხულანდოელ ქისტ მუხამასთან. ~~მისი~~
დიღას, როგორც კი ცას გარეგარეის სიწით-
ლემ დაჰკრა კლდოვან უღელტეხილს იქით, დაი-
ძრა ჯოგბი, დაფაცურდენ მწყემსები, გარეყს
ცხვარი.

როგორც კი ავიდენ ზევით, ყოველი მხრიდან
გამოცვივდენ ცხენოსნები.

ისინი სტვენდენ, ყვროდენ.
მათ შინაზე ვინტოკები და ყარბინები ჰქონ-
დათ და ამ თოფებს აქნევდენ, იმუჭრბოდენ.

ჯოგბი შეჩერდა.
მწყემსები გაიქცნენ.

მოდი და ნუ გაიქცევი!
თითქმის ასორმოცდაათი ცხენოსანი შემოერ-
ტყა ჯოგებს და ცხვარი ჩაღმა თუშეთის სოფლები-
დან ვიწრო ციკაბო ბილიკებით შორეულ ქისტე-
თისკენ გარეკა.

ნაწყენი დარჩენ მწყემსები: ერთი ხერიიანად
მინც გაეცარცვათ ისინი, ვეკაცური შეტაკება
ჰქონოდათ მტერთან, ჯერ ტყვიებით გამასპინძლე-
ბოდენ ერთმანეთს, მერმე თუშური ფართო ხანჯ-
ლებისთვის მიეყუთ ხელი!

ასე რომ მომხდარიყო, მაშინ ხომ შეეძლოთ
ეჩვენებიათ თავისინებისთვის ღრმა ჭრილობები,
მათთვის ფეხებში დაეგლოთ გასისხლიანებული ახა-
ლოხები,—და ამით დაემტკიცებიათ, რომ ჯოგი
უსისხლოდ არ დაუნებებიათ მტრისთვის.

შორიალო ვადგენ მწყემსები.

გაბრაზებულნი უტკეროდენ, რომ იქვე ახლო,
მოსახვევთან, თვალს ეფარებოდა ჯოგი,—ხეობა
ჰვარავდა მას.

მხოლოდ ერთი—კობე ბაკურიძე—გამოედგენა
მცარცველეს.

კლდიდან კლდეზე მიხტოდა ის, ქვებს ეფა-
რებოდა.

მთელი დღე მიერეკებოდენ ქისტები ცხვარს.

ისინი ცოტა ხნით თუ შეჩერდებოდენ, ჩამორ-
ჩენილ ცხვრებს დაავლებდენ ხელს, მაჰმადიანური
წესის თანახმად აღმოსავლეთისკენ უზამდენ თავს
და დაჰკლავდენ.

საღამოს უღელტეხილი გადაიარეს და ხულან-
დოში ჩავიდნენ.

კობემ იცნო სოფელი.
უკან დაბრუნება უნდოდა, შვარამ ვერ გადა-
სწყეიტა.

დაიღალა, მთელი დღე არაფერი უკამბია.
არც ფქვილი ჰქონდა თან, რაც მწყემსებს
აქვთ ხოლმე.

ლაშე მთებში ცივა.

ხანდახან ზაფხულშიც კი წამოთოვს, დაგვარავს, უფსკრულში გადაგზნებს.

ზის კობე ქვას უკან და ფიქრობს.

ცხვარი და ცხენოსნები აღარ ჩინან, ისინი უკვე სოფელში არიან.

მიანება თავი კობემ საფარს, ხობვით წავიდა, განაპირა სახლთან მივიდა და დააკაწრნა.

— ვინ არის?—გაისმა შეგნიდან.

— გაშიღვ, მუხამა, მოვედი, რომ შენთან შევაფარო თავი. უნდა დამიფარო, მუხამა.

— ვინა ხარ?—ჭკითხა შემოთვრებულმა მუხამამ.

— კობე ვარ, პირიქითელი.

— გაახსენდა მუხამას. გაახსენდა, რომ არა ერთხელ დაუფარავს ის კობეს, გაუღო კარი, შეიწვია სტუმარი.

ქისტი და თუში—ორი მუღმივი მტერი—ერთმანეთის პირდაპირ იღგენ.

ხომ მოხდა ისე, რომ ისინი ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს, ეს ხომ მოხდა! აქ, მთებში, ეს ფიცზე უფრო მეტს ნიშნავს, აქ ეს სიტყვაზე და ნათესაობაზეც უფრო ძლიერია.

თავისუფლად ამოისუნთქა კობემ: ახლა ის შინ არის.

მიუჯდა ცეცხლს და ყველაფერი უამბო მუხამას.

— მართალია,—სთქვა მუხამამ,—ჩვენებმა გამოიტაცეს ჯოგი. ახლა იყოფენ. რა ვუყოთ მერე, ეს ხომ სულ ძველი ვალეზია. განა თქვენ ცოტა საქონელი მოგეტაცეთ, განა თქვენ ბევრჯერ არ დაგვარბიეთ?

— შენც მართალი ხარ, მუხამა,—უბასუხა კობემ;—მაგრამ თქვენ მამალი ცხვრებიც მოიტაცეთ. თქვენ გაგვალტაცეთ ჩვენ. ბევრი სისხლი დამიღრება, დიდი დავა იქნება, მრავალ წელს გასტანს იგი. თუ ჩემი ძმა ხარ, დაითანხმე თქვენები, რომ მხოლოდ მამალი ცხვრები დაგვიბრუნონ—ჩვენ მაშინ კვითი ვიქნებით.

— შენ ჩემი სტუმარი ხარ და ჩემი ძმა ხარ. მუხამას ყველაფერი ახსოვს. მე წავალ, რომ ქისტები დავიყოლიო. შენ ჯერ მომიტანე, ფანჯარასთან დაჯექი და იყურე, როგორ სამართლიანად იყოფენ ქისტები თუშურ ცხვრებს.

მუხამამ ღვარძლიანად გაილია და წავიდა. კობე ფანჯარასთან დაჯდა. ხედავს, როგორ დაიბენ და ყვირიან ქისტები ცხვრის გაყოფაზე. მალე დაბრუნდა მუხამა და პირველი გამრტაცებული ცხვრები, რომელნიც მის ხედა წვილად.

— საქმე ცუდადაა, კობე. ხომ იცი, რომ ახლა სოფელში არიან იაღვობის ძმები. განა თქვენმა საზოგადოებამ არ მოჰკლა ყაჩაღი იაღვობა? მის ძმებს შენი სისხლი სწყურიათ. მე იმათ ვთხოვე, რომ დილაშდის მოეცადათ. სტუმართმოყვარეობის აღათი არ შეებღალათ.

ჩაფიქრა კობე, შიშით კი არ შეშინებია: იცოდა, რომ მის შემდეგ, რაც ძმურად გადაეხვიდა, მუხამა მის თავს არავის დაანებებდა.

მუხამამ ცოლს დაუძახა.

— ყური მიგდე,—სთქვა მან,—ხვალ არც მე, არც ჩემი სტუმარი შენიდან ფეხს არ გავადგამთ. დილას იაღვობას ძმები მოვლიან. უთხარი იმათ, რომ მე ლაშე წავედი ჩემ სტუმართან ერთად, რომ ის სამშობლომდე მივაიცილო.

ცოლი ასეც მოიქცა.

ერთი დღის შემდეგ მოვიდნენ კობეს ძმები და ტყვე გამოიყიდეს.


* * *

ერთი წელი გავიდა მის შემდეგ. მე „სისტუმრო“ ოთახში ვიჯექი, წინ ცხელი რძე მელდა და ამ საკვირველ და უბრალო ამბავს ვისმენდი. ახალგაზრდა „ძალო“ ნაშუალაშეგამდე გვემსახურებოდა. დილაღრიან მე გაქიმულ ძაფებზე თანაბარმა რტყემვამ გამოამოღვიძა.

უზოში გავედი.

იქ „ძალო“ იყო, ის დილიდანვე მიჯლომოდა საფიქრო მანქანას.

3. ტატიშვილი.



აღიგე-მეკმეხეთი

(მოკლე მიმოხილვა).



იმპერიალისტური ომის დასაწყისში კაპიტალის და ცარიზმის მესვეურნი უხვად ისროდენ ხალხში ერთა თვითგამორკვევის და განთავისუფლების ლოზუნგებს, მაგრამ ამ ლოზუნგების განხორციელებაზე მათ არასოდეს არ უფიქრიათ სერიოზულად.



ჩერქეზები ნაციონალურ ტანისამოსში.

ეს ლოზუნგები მხოლოდ ხერხი იყო მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა და უფრო კი საკუთარი ქვეშევრდომების გულის მოსაგებად. ასეთივე ლოზუნგები იყო აღბეჭდილი რუსეთის დროებითი მთავრობის — კერენსკის მთავრობის — ბაირალზე, მაგრამ არც მათ უფიქრიათ ამ დეზულემათა სინამდვილეში განხორციელებაზე.

ღიდი ოქტომბრის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ამ ლოზუნგების განხორციელებას და რევოლიუციის მონაპოვარა განმტკიცება.

რუსეთის თვალუწვდენელი რესპუბლიკის ფარგლებში ბევრი ისეთი ერი ბინადრობდა და ბინადრობს, რომელნიც სხვა რეგიონის დროს ვერც კი იოცნებებდენ თვითმართვლობაზე. ამ ერებს არ ჰქონდათ საკუთარი მწერლობა, ხოლო მეფური რუსეთის სკოლებიდან ისინი განდევნილი იყვნენ, როგორც თავდაზნაურ კაპიტალისტების ორგული გერგები. მაგრამ მუშურღებური მთავრობა ყველას ძაჟურის თვალთ უყურებდა და მან ზირიანების, ჩვეაშების, ტუნგულების და მრავალ სხვა ერთა ავტონომიური ერთეულები შექმნა. მან შეძლება მისცა ამ ერებს, შექმნათ თავისი მწერლობა-აღფაბეტი, დეფარსებიანთ სკოლები, გამოეცათ ყურნალ-გაზეთები და ამგვარად ჩაბმულიყვნენ განათლებულ ხალხთა კულტურულ ფერხულში.

ეკონომიური მხარეც არ დაუტოვებია საბჭოთა ხელისუფლებას უყურადღებოდ. თუ წინათ ყოველი უცხო ტომის მიწაწყალი მეფური რუსეთის მესვეურებს ეხოლოდ ერთგული „კაზაკების“ და რუსების სახალშენო ადგილებად მიაჩნდათ, ადგილობრივ მცხოვრებლებს აწიოკებდენ, არბედდენ, სხვაგან ასახლებდენ და საერთოდ ყოველგვარ უფლებებს მოკლებული ჰყავდათ, ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ყოველი ტომი თვითონ არის თავისი მიწაწყალის პატრონი და უყვეც იცე აღარ იყვლინდება, რადგანაც თვითონ სწყვეტს საკუთარ აღმასკომში, თუ როოდენი გადასახადი შეუძლია გაიღოს საკავშირო ხაზინისთვის. ხშირად ამგვარად მოგროვებული თანხა არ არის საკმარისი ერის ავტონომიურ ერთეულის დაწესებულებათა ხარჯების დასაფარავად და მაშინ საკავშირო მთავრობა დანაკლისს სხვა თანხებიდან ჰჭარავს და ერს საშუალებას აძლევს, თავისი აუცილებელი საჭიროებანი დაიმკაფოფილოს.

ერთი ასეთი ტომთაგანია აღიგე-ჩერქეზები. ამ ტომის ცხოვრების შესწავლის ინტერესს ჩვენთვის, ქართველებისათვის, ის აორკვეცებს, რომ ისინი ჩვენი მოწათესავე, იაფეტიანთა მოდემის ხალხია და ქართველთა მთლიანი უძველესი ისტორიისა და ენათმეცნიერებისათვის მათი გამოკოვება შეუძლებელია.

აიღიგე ჩერქეზები სახლობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის და ლაბის გასწვრივ, მა-

გრამ ეს მხოლოდ სულ უკანასკნელი დროის ბინადრობაა. ახლა ისინი გარშემორტყმული არიან ყუბანის კავაკების და რუსების მოსახლეობით და ამგვარად ყველა სხვა კავკასიურ, ანუ იფეტიურ, ტომებს ჩამოშორებული არიან. წინა დე კი მათი საზღვარი აფხაზეთს, ყაბარდოს და ყარაჩაის უწყვედა.

როგორც ქართველები, ჩერქეზები-ელივეც კავკასიაში მოსული ხალხია და მუდამ აქ არ ცხოვრობდნენ. როდის გადმოსახლდნენ ისინი კავკასიაში? ზედმიწევნით ამია გამორკვევა ძნელია, მაგრამ ერთი კი ცხადი უნდა იყოს, რომ ისინი აფხაზეთთან ერთად ან უფრო ადრე უნდა გადმოსახლებულიყვნენ და უკანასკნელებთან ერთად იფეტიანთა მოადგმაში ერთს აფხაზურ-ადიგეტურ ტომის ჯგუფს შეადგენენ. ეს ორი ტომის შორეული ნათესავები კავკასიაში გადმოსახლების შემდეგ, და მეტადრე უკანასკნელ საუკუნეებში, უფრო დაახლოვდნენ: ბევრი წმინდა აფხაზური ტომი, როგორც, მაგალითად, ჩერქეზი, უბიხები და სხვა, იყვნენ თანამედროვე ჩერქეზების წინაპრები და ახლაც ბევრი აფხაზია მათში არეული და ისინი ერთი-მეორეზე გავლენას ახდენენ.

ადიგელთა ტომსვე ეკუთვნიან ყაბარდოელები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის მერაზე ავტონომიურ ერთეულს შეადგენენ და ყუბანის პირის ჩერქეზ-ადიგელთა სპაზოდ დაშორებულნი არიან, სახელწოდება ჩერქეზი შეგრძობლივითი სახელია ყველა კავკასიური ტომების, რომელთაც რუსეთის იმპერიალიზმი ებრძოდა 1¹/₂—2 საუკუნის განმავლობაში.

საკუთრივ ადიგელთა და ყაბარდოელებს (აკრეთ-ვი ადიგეს ტომია) უცხოვრიათ ყირიმში და აზოვის ზღვიდან მოყოლებული დონის აუზის ნაწილში და ყუბან-დალაბის აუზებში. სხვათა შორის ზოგის ზღვის უქველსი სახელი ამერთაა ჩერქეზულია და ნიშნავს აყროლებულ წყალს, პირველად ადიგეს კავკასიაში იხსენიებს ჰეროდოტე V საუკუნეში. ბერძნები მამნ ჩერქეზებს კერაკტებს უწოდებდნენ, ხოლო სხვადასხვა ტომებში იცნობდნენ ზიკებებს (ჯიქ ბს); შენჯიკს (აბ მეშებს) და სხვა.

ყოველი შეარხვევივე, ადიგელთა კავკასიაში უნდა მოსულიყვნენ კომერციული მოძრაობის ადრე და არა უფვიანეს მე-VII—მე-VIII საუკუნისა ქ. წ. საწყობაროდ, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე იფეტიანთა ტომების ისტორია და ენა თითქმის სულ არ აოის შესწავლილი და რისიმე დანამდვილებით თქვა ჯერჯერობით არ შეიძლება, თუმცა გაბუკის და ბაკოკის (აულებია) მახლობლად გა-

თბრის დროს მხოლოდ მე-IV საუკუნის ქ. წ. ნაშთები აღმოჩნდა ჯერჯერობით.

ნელ-ნელა ადიგელთა მოსახლეობის შემდეგ სეულ მტრების ზეგავლენით, შეიცვალა. მათი ისტორიის დაწვრილებითი შესწავლა მეტად საძნელაა, რადგანაც საკუთარი მწერლობა არ ჰქონდათ და უცხო ხალხთა მწერლობაში (ბერძნების, რომაელების, არაბების, სპარსელების და ოსმალოების) და ისტორიებში კი ცოტაოდენი ცნობები მოიპოვება, და ისიც მეტად გაფანტულად. ქართულ ისტორიაში კი ცნობები უმთავრესად შეეხება ყაბარდოელებს, რადგანაც ეს ტომი 1237 წელს, თათრების მიერ ოსეთის აობრების შემდეგ, მათ ნასახლარზე გადმოსახლდა და ამგვარად უშუალოდ მოექცა საქართველოს საზღვარზე.

მე-VI საუკ. ქრ. შემ. ჩერქეზი უკვე ადიგელთა ტომურ სახელწოდებას ნიშნავს, თუმცა აფხაზები მათ უძახოდნენ ზუხუნს, და ჩერქეზეთს—აბხუას.

1474 წლისთვის ჩერქეზეთის ტერიტორია უკვე მეტად შევეცილი იყო და ისინი თურქების ემორჩილებოდნენ, მაგრამ შვეი ზღვის ნაპირებზე ჯერ კიდევ ჰქონდათ ქლოქები, რომელთა საშუალებით სააღმშვიტო კავშირი ჰქონდათ უცხოეთთან.


მრავალი შემოსევის დროს მრავალი ადიგე იყრებოდა თავისი მიწაწყლიდან და მეზობელ ქვეყნებს აფარებდა თავს.

ამგვარად საქართველოში გადმოსახლებულთა შორის 1453 წელში სხვათა შორის ჩერქეზიშვილი ითვლება და სხვ.

ყირიმის ხანები ხშირად შეიქებოდნენ ხოლმე ადიგელთა ტერიტორიის ურდოებით და იკაურობას აობრებდნენ. 1474 წელში მათ მიწაწყალზე ყარაჩაელები (თათრები) დასახლდნენ და ახლა მათი მიწაწყალი ჩრდილოეთ-კავკასიის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ერთეულის სახელწოდებით არის ცნობილი.

მაგრამ ყველაზე სასტიკი მტერი ადიგელთა, რომელმაც ბოლო მოუღო მათ თავი უფალ და თითქმის ფიზიკურ არსებობასაც-კი, რუსეთის მეფეები იყვნენ.

რუსეთის მეფეების დაპყრობითი პოლიტიკა მე-XVI საუკ. დაიწყო, მაგრამ უფრო ადნებით ეს იფენი მე-XVII საუკუნეში შეუდგნენ და საქმეს, პეტრე დიდის დროს მთელი რიგი ლაშქრობა იყო მოწყობილი ადიგელთა წინააღმდეგ. 1783 წელს ეკატერინე დიდის მანიფესტით ნახევარი ტერიტორია ჩერქეზების, ეკრეთოდებული „პოკუბანიე“, რუსეთთან შეერთებულად გამოცხადდა.



ამ ხანებში აღიკვეთათ თათხმეტ ქვეტომად იყოფოდა: ნატუხაელები, უბიხები, დიდი და პატარა შაფსუგი, აბაძეები, ბეეღუხი, ხამიში, ბეეღუხი ჩერჩენი, ხატუკაელები, თემბარგოელები, მამბეტოელები, ეგრეთხაელები, მახაშვილები, მესლენი და ხაყუჩები.

მათი საზღვარი იყო: შავი ზღვა დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით ყუბანი და ლომა და სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კავკასიონის ქედი (ქართელები, ყარაჩაი, ოსეთი და ჩაჩეთი).

1792 წლიდან დაიწყო აღიკვეთება და რუსეთის იმპერიალისტებს შორის ის უმავალითო ომი, რომელიც ასი წელი გრძელდებოდა. ერთის მხრით იყო მტაცებლური ინსტინქტებით გაღვინთილი და მეფური მტაცებლური პოლიტიკით უზრუნველყოფილი რუსეთის ძლიერი ჯარი, ხოლო მეორე მხრით თითქმის უფარადო, გაუწვრთნელი და ბოროტ მებატონეთაგან დაქსაქსული ჩერქეზები, რომლებიც იცავდნენ თავისუფლებას, სახლქარს და ცოლშვილს.

ჩერქეზების რაოდენობის გამოკვლევა მეტად ძნელია, მაგრამ დაახლოებით უნდა ყოფილიყო 1,282,000 სული.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივ წყობილებას, ზოგიერთ ქვეტომს ჰქონდა არისტოკრატიული და ზოგს დემოკრატიული წყობილება. არისტოკრატიული ტომის სათავეში იდგა: ბერძნული წყაროებით თავადი, ქართული და არაბული წყაროებით — მეფე და პატრონები, ხოლო ოსმალურით — სულთნები და ბეგები.

მეფეები თუ თავადები თავის სამფლობელოში ბრძანებლობდნენ, ვით თვითმპყრობელნი, ხოლო მრავალ ტომად დაყოფილი აღიკველბა არასოდეს არ შეერთებულან ერთ სამეფოდ.

არისტოკრატიული ტომის მოქალაქენი იყოფოდნენ ექვს კლასად: მეფე ან თავადი, მ ხარისხის აზნაურები, თავისუფალი მოქალაქე, ყმები და მონები. ხალხის დაპოცება ამბობს: პირველ ხანებში მეფეები ანუ თავადები აღიკველბები იყვნენ, ხოლო შემდგომ იცვლებოდნენ და ბოლო ხანებში თათრების შთამომავლობის იყვნენო. მათი უფლება თავისუფალ მოქალაქეებზე რამოდენიმედ შეზღუდული იყო, ხოლო ყმებზე და მონებზე კი განუსაზღვრელი. დიდი უფლება ჰქონდათ აგრეთვე პირველი ხარის-

ხის აზნაურებსაც. ამ უფლებებით თავადები და აზნაურები მეტად ბოროტად სარგებლობდნენ. განსაკრებული იყო ადამიანებით ვაჭრობა და ოსმალეთის თუ ყირიზის ბაზარზე ათასობით ახალგაზდა ქალვაფი იგზავნებოდა. ჩერქეზი ქალების სილამაზე შორის იყო გაავრდნილი; ოსმალეთის და ეგვიპტის ბაზარზე იქ ქალები მეტად ძვირად ფასობდნენ. აგრეთვე ქალვაფით იხდიდნენ თავადები ყირიმელების მიერ დადებულ ხარკს. ტომებსა და თვით ერთი ტომების თავადებსა და პირველი ხარისხის აზნაურებს შორის ბრძოლა ხშირად წარპოვებდა ხოლმე. ბრძოლის ერთი მიზნითავე ის იყო, რომ როცა თავადს ან აზნაურს შემოაკლდებოდა ვასაყიდი ყმები, ის მებოზელის სოფელს შეესოდა და ახალგაზრდები ტყვედ მიჰყავდა. არისტოკრატიული და დემოკრატიული ტომებს შორის კი ბრძოლა უფრო სოკიანული ნიადაგზე წარმოებდა.


დემოკრატიული წყობილების ტომებს განაგებდა სათემო ყრილობა, ხოლო შემსრულებლებად ირჩევიდა ხოლმე აზნაურებს, რომელთა უფლებაც, ცხადია, შეზღუდული იყო.

სარწმუნოებით აღიკველბები მე-VI საუკუნემდე ცეცხლის თაყვანისმცემელი იყვნენ. მე-VII საუკუნეში მათ მიიღეს ქრისტიანობა და ემორჩილებოდნენ მცხეთის პატრიარქს. თუმცა ქრისტიანობა მიღებული ჰქონდათ, ფაქტიურად ჩერქეზები კერპთაყვანისმცემლები დარჩნენ. 1717 წელს ყირიმის ხანებმა ცეცხლითა და მახვილით გაავრცლეს ისლამი და საქმე კიდევ უფრო აირია, რადგანაც კერპთაყვანისმცემსა და ქრისტიანობას ზედ დაერთო მავანიანობაც. ქრისტიანობას ჩერქეზეთში საბოლოოდ მოუღო ბოლო მეფის გენერლების მტრობამ და საერთოდ პოლიტიკურმა განწყობილებამ: ისინი დაარწმუნეს, მარტო ისლამს შეუძლია რუსეთისაგან თქვენი გადარჩენაო.

ზოგიერთ მოხუცებულთ ახლაც ახსოვს, როგორი ლოცულობდნენ ბავშვობაში ჯვრებს და წმინდანებს.

აღიკვეთ კერპთაგან ცნობილია: ზეკოთხი — ომის ლერითი, კოდესი — წყლის, ტლევხი — ცეცხლის, მუზოთხი — ტყის და სხვ.

აღმერთებდნენ აგრეთვე თვით ტყეებს, ხეებს და სხვ.





მცენარეულოების მეზობრები და მტრები

(წითელი ჭია-მაია. *vedalis cardinalis*)

მცენარეებს მრავალი მტერი ჰყავს. ათასჯარი მწერი, ჭია, მატლი; ჟნკი, ნაკარი და ობი ჭიგებს, მატლებს და მწერებს მუსკის ავლებენ ჩიტები, სხვების წინააღმდეგ ხმარობენ სხვადასხვა წამლებს, მაგრამ ზოგჯერ ეს წამლობა არ შეეღის.

აქ გვიამბობთ ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა ამერიკის შტატში, კოლორადოში. იქ ლიმონისა და ფორთოხალის მთელი ტყეები გაშენებული. ერთმა მებაღმ სხვა ქვეყნიდან ლიმონის ხე ჩამოიტანა, რომ ადგილობრივი ჯიში გაეუქმებებოდა. სხვა მებაღებმაც წაიღეს მისგან ეს ხეები, მაგრამ ამ უცხო ქვეყნიდან მოტანილ ლიმონს სენი აღმოაჩნდა — წყრილი მწვანე ტილები, რომელიც მესაუბრებმა ვერ შეამჩნიეს. ეს მწვანე ტილები საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდნენ და ზოგი კოლორადოს ლიმონისა და ფორთოხლის ხეებს ტილები მოედო. სწუწნიდნენ. წვეწვს და ხეს ახმოდნენ, დიდი ზარალი მოუვიდა ხალხს: მანამდე თუ 8000 დატვირთული ურემი ფორთოხალი და ლიმონი გაჰქონდათ გასაყიდად, ეხლო წლის ბოლოში 600 ურემი ძლივს მოაგროვეს.

მთელი შტატი აწრიალდა, არაფერი წამალი არ შეეგლოდა: არც შეშხაუნება, არც შებოლება... მცხოვრებნი იძულებული გახდნენ ხეები დაეღებოთ და დაეწვათ. ეს პაწაწინა, თვალით ძლივს დასანახავი მწვანე ტილი მთელი კოლორადოს ლიმონს და ფორთოხალს მოსპობას უქადა. ხალხი დიდად შეეუწებებოდა იყო.

ამ ხალხს მსხნელად მოევიდნა ლამაზი კობრა ჭია მაია.

ავსტრალიაში შეამჩნიეს, რომ ლიმონზე და ფორთოხალზე მწვანე ტილები ძლიერ ცოტა იყო, რადგან მათ მუსკის ავლებდა წითელი ჭია-მაია (*vedania cardinalis*). სწორედ ამ ჭია-მაიას კვერ-

ცხები შეტრბდეს შუშის ქილებში და გადმოგზავნეს კოლორადოში. გამოიჩეკა თუ არა ჭიები, შესვენ ლიმონის ხეზე. მათ დაიწყეს ნაღრობა მწვანე ტილებზე და მუსკი გაავლეს.

ჭია მაია ისეთ საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა, როგორც მწვანე ტილები.

თავისუფლად ამოისუნთქეს ლიმონის და ფორთოხლის ხეებში, მოკაცულდნენ, გადაჩენ განადგურებას. მთელი კოლორადო დღესასწაულობდა ამ წითელი ჭიის ჩამოსვლას. ამ ამბით წახალისებული აგრონომები ახლა სხვა ხეების მტრების ძებნას შეუდგნენ. ვაშლებზე აღმოაჩინეს ერთი წავი ჭია, რომელიც დიდ ზარალს აყენებდა ვაშლებს.

ისპანიაში ნახეს ვაშლებზე ამნაირი წავი ჭია, მხოლოდ მათ შვე დღეს აყენებდა ერთი მწერი, კრაზანას მსგავსი. მას ორი წყვილი წავი მოლურჯო ფრთები აქვს და უკანა ფეხებთან მავარი ისარი ასხია. ამ ისრით ხის კანს აპობს, იქ ჭიას პოულობს და იმწამსვე ჰკლავს. შიგ კვერცხებს სდებს. ორ საათში (აღმაღ ჭიის ტანის სიმაბოს გამო) ეს კვერცხები გამოიჩეკება. პატარა ჭიები იქვე თავის საღამში შოულობენ საკვებ მასალას. 3—4 დღეში დასრულებული მწერი შეუდგება წავი ჭიების ქლეტას და შიგ კვერცხების დებას.

აი კიდეც გამოჩნდა მუქი ნაცრისფერი ტილი, რომელიც ხეხილს დიდ ზარალს აყენებს. აქაც ჭია-მაიამ უშველა, მხოლოდ ეს ჭია-მაია მუქი ნაცრისფერი არის. ეს ჭია-მაია აფრიკაში ამოაჩინეს მისი კვერცხები გამოუგზავნეს ამერიკის ფერმერებს.

საკვირველია, რომ მცენარეების მტრების მტრები თვითონ მცენარეს არას აყენებენ — თითქო განგებ მცენარის მტრის გასაწყვეტად არიან გაჩენილი.

6. ტყეშელაშვილი.





განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართვე-
ლობის სალიტერატურო-სამეცნიერო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული
წიგნების სია:

1.	„ნაქაღული“ № 1 1924 წ.	თითო წიგ.	25 კ.
2.	„ნაქაღული“ № 2-3 1924 წ.	„	30 „
3.	„ნაქაღული“ № 4-5 1924 წ.	„	40 „
4.	„ნაქაღული“ № 6-7 1924 წ.	„	25 „
5.	წიგნები სხვი №№ 1, 2-3, 4-5	„	40 „
6.	„ნაქაღული“ 1921 წ. და 1922 წ. №№	„	25 „
7.	„ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. 1923 წ. №№	„	40 „
8.	ნორჩი ძალი—კრებული	„	15 „
9.	„სამი ამავეი“— შიო ლღვიმელისა	„	10 „
10.	„კოკრეჭინა“— დ. დონდუასი	„	10 „
11.	„ბელა ზეკტა“	„	10 „
12.	„შემოდგომა“— ფერადსურათებიანი წიგნი.	„	70 „
13.	„დღეღამეი, ტურა და შელია კულიკძელია“	„	50 „
14.	„ბავშვებ“— ლექსები გ. ქუჩიშვილისა	„	20 „
15.	„ტყის ზღაპარი“— შამინ-სიმბირიკისა, თარგ.	„	20 „
16.	„ტყის სურათები“— შიო ლღვიმელისა	„	25 „
17.	„შინეველას საოცარი თავგადასავალი“	„	30 „
18.	„თავისუფალი ბავშვის სიმღერები“	„	2 „
19.	„ქართული შობაჲვი თამაშობანი“	„	80 „
20.	„ტროადის ოში“— ალ. მიქაბერიძისა	„	80 „
21.	„ივან-არაქან“— ალ. შირიანაშვილისა	„	30 „
22.	„სამაგწო პიესათა კრებული“	„	70 „
23.	„ივანე სულელი“— ზღაპარი, ლ. ტოლსტოისა	„	15 „
24.	„ლურჯი ფრინველი“	„	50 „
25.	შობაჲვი თამაშობანი სიმღერებით— გოგლიჩიძისა	„	13 „
26.	ოვიდიუსის მეტამორფოზები, —ა. მიქაბერიძის	„	70 კ.
27.	„ზამთარი“— ფერადი სურათებით	„	50 „
28.	„ღმველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“	„	45 „
29.	როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	„	25 „
30.	„გაზაფხული და ზაფხული“	„	90 „
31.	„რას გვიანობას ოთახი“	„	20 „
32.	„ზღვის სიმღერა“	„	20 „
33.	პატარა იაპონელები— ფერადი ყლით	„	75 „
34.	კოკონთან— ჩენი ძიები ყველგან არიან	„	10 „
35.	„როგორ გავატარეთ ზაფხული ბანაკში“	„	15 „
36.	კომპლე— ზღაპარი ფერადი სურათებით	„	65 „
37.	სიზმრად და ცხადად	„	30 „
38.	პატარა იაპონელები, ფერადი ყლით	„	75 „
39.	კოკონთან— საუბარი მე-4	„	10 „
40.	ლენინის სათი სკოლაში	„	50 „
41.	სამაგწო ბალი— ფერადი სურათებით	„	13 „
42.	პიონერის სოფლად	„	25 კ.
43.	ტავის საუნჯენი	„	40 „
44.	ყაჩაღი არსენა, გადაკეთებული პროზად	„	25 „



ქართული
ბიბლიოთეკა

== 1925 წ. ==

გ ა მ ო ღ ი ს
შთველდვიური საზოგადოებრივი დასუკათებური
შურნალეები

მუხრანელთათვის **წითელი სხივი** **წელიწადი**

მცირეწლ. **ნაკადული** **წელ. მე-XXI**

შურნალის გამომწერა ს. ს. რეკუპალიკ. ყველა სკოლებიანთათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელუბის საკარტვალეს გავრთა კოგუნისტური
ჯგუფების ურვალ წევრის, ორგანიზაციის ურვალ
კოლაქცივის, გავრთა კოგუნისტური მოკაროგის
თვითთაული ხელგკვანელის, გიგლიო-
თიკეგის და სამეითსვალყო-
გის ვალდებულეგაა
გამეითსვალყო

„წითელი სხივი“

== და ==
„ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება თვეურად

ცალკე	„წითელი სხივი“	45 კ.
„	„ნაკადული“	30 კ.
	გადამზავნა ხელის მომწერის ხარჯით	

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამსირი № 31, განათლების სახელესთ
კომისონრიატი. „წითელი სხივის“ და „ნაკადულის“ რედაქცია.

რედამტორი - სარედაქციო კოლეგია.